# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 7 ნოემბერი 1996 №116 (341) ფასი 40 თეთრი


## გაზა, ენას კბილი დააჭირე!

ინგლისელებმა არ გვიწყინონ და, გერმანელები უფრო დიდი აჟიოტაჟით და ზარზეიმით ჩამოვიდნენ, ხალხიც გერმანულზე ნაკლები დახვდათ ალბიონელებს. თბილისის აეროპორტი ის ადგილია, სადაც, ვგონებთ, საქართველოში ყველაზე მეტ პატივს სცემენ მედიას და ჯერ არ გვახსოვს შემთხვევა, აეროპორტის მუშაკებს ჟურნალისტის საბუთის წარდგენისთანავე თავაზიანად არ შევეშვით ჩვენთვის განკუთვნილ წითელ ხაზამდე. ისე, ისიც კარგად გვახსოვს, როგორ გვალოდინეს ორი საათი პორტუში და ეს სულაც არ იყო მასპინძელთა დაჟინება. ეს იყო ჩვეულებრივი სასაზღვრო ფორმალობა. ეს მარტო ჩვენ, ქართველებს შეგვიძლია, ტრაპზევე მოვაგვაროთ ყველა ფორმალური პრობლემა და, ფაქტიურად, ავტობუსიც ტრაპთანვე მივართვათ სტუმარს. რას იზამ, სხვა თუ არაფერი, ინგლისელთა თვითმფრინავზე გამოსახული BRITANIA და „იუნიონ ჯეკიანი" მეომარი ქალის სილუეტი გამოიყურებოდა მეტად მრისხანედ. ჯერჯერობით ინგლისელები საკუთარი ქვეყნისადმი პატივისცემაში გვჯობნიან, აი, ფეხბურთში კი ვინ-ვის აჯობებს, შაბათს ვნახავთ...

ღამის ცხრის ნახევარზე თვითმფრინავი დაჯდა და ქართული მედია და ფეხბურთის



ინგლისელთა მწვრთნელი გლენ ჰოდლი

ფედერაციის წარმომადგენელნი ბრიტანელთა დასახვედრად მოემზადნენ. ფეხბურთელებს წინ სპორტულ სამოსში გამოწყობილი გლენ ჰოდლი გამოუძღვა...

**— ბატონო ჰოდლ, თქვენს გუნდში ცვლილებები ხომ არ არის?**

— გუშინ ორი კაცი მოგვაკლდა, დომინიკ მატეო და პოლ მერსონი, სხვები კი მწყობრში არიან.

**— თქვენ თბილისში დახურულ კარს მიღმა ორი ვარჯიში გაქვთ დაგეგმილი. რად გჭირდებათ ვარჯიშის შენიღბვა?**

— ორჯერ არა, დახურულ კარს მიღმა ერთხელ ვივარჯიშებთ, პარასკევს.

აქ საუბარში კოსტიუმიანი ინგლისელი ჩაერია და გვთხოვა, ეგ და სხვა საკითხები, ვრცლად პრეს-კონფერენციაზე გააშუქეთო.

ტრაპიდან ავტობუსამდე შემდეგი გარბენა პოლ ინსთან ერთად მოგვიწია.

**— რას იტყვით თქვენს მზადყოფნაზე?**

— კარგად ვართ მზად. სხვებიც ასევე არიან.

დევიდ სიმენს ცნობილი ინგლისური ზრდილობა საგანგებოდ ეტყობოდა, კეთილმოსურნე ღიმილი ალებეჭდა სახეზე.

**— რა იცით საქართველოს ნაკრების შესახებ, გინახავთ მისი თამაში?**

— დიახ, ვნახე. კარგი გუნდია.

**— ძლიერ დარწმუნებული ხართ, რომ გაიმარჯვებთ?**

— ძლიერ დარწმუნებული? ეგ როგორ გითხრათ, მაგრამ ალბათ მოვიგებთ.

დევიდ პლატი.

**— რას იტყვით მომავალ მატჩზე?**

— ახლა ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა.

სტივ მაკმანამანი.

**— მეტოქის თამაშს თუ იცნობთ?**

— ნიჭიერი გუნდია.

**— როგორ გგონიათ, მატჩი...**

ინგლისელი მისთვის ჩვეული სისწრაფით უკვე ავტობუსში იყო ასული.

გაზამ ინგლისელთაგან ყველაზე მეტი ოვაციები დამსახურა სტადიონზე მისულ გულშემატკივრებში, რაზეც ცოტა ქვემოთ, აქ კი იმას გეტყვით, რომ გესქოინს, როგორც ლონდონს მივლინებული სარბიელელი ზურაბ მეძველია გვაფრთხილებდა, ახმახი მცველიც მოჰყვებოდა, ისეთი, ჩვენში „შკაფს" რომ უწოდებენ. ჰოდა, გაზას ისე ჰქონდა კბილი კბილზე დაჭერილი და ტუჩები დამუწული, თვითმფრინავიდან ავტობუსამდე ათწამიან გზაზე არც უფიქრია კითხვებზე პასუხის გაცემა. ისე, საინტერესოა ერთი სიტყვა, „შერილი" რომ გვეხსენებინა, როგორ მოიქცეოდა...

აეროპორტიდან სტადიონამდე გზაზე (სტუმრებს „მეტეხში" შესვლა არც უფიქრიათ) სტუმართა თურქულ ავტობუსებსადევნებული ქართული მედიის ისეთი ჯირითი გაიმართა, „ფორმულა 1" მონაგონია! აბა, გენახათ მძღოლების წაქეზება: ერთი იმათ გაასწარი! ე, ბიჭო, ისინი გვეწევიან!



გაზა და მისი ახმახი მცველი

მოკლედ, სისინ-სისინით მივედით სტადიონზე. იქ კი ორიათასამდე გულშემატკივარი დაგვხვდა. ინგლისელებმა უცებ გამოიცვალეს და ეროვნულ-ახალგაზრდული გუნდებით მინდორზე გაიჭრნენ. ჰოდლი თავიდან ვერ შევნიშნეთ, ეროვნულის ვარჯიშს მეორე მწვრთნელი ჯონ გორმანი თავკაცობდა (მთავარი თურმე ფეხბურთელებში გარეულიყო). სირბილსა და გაზურებაში ერთი საათი გავიდა. გესქონს, ეტყობა, პოლ ინსი დაჩაგრული ჰყავს, მოლდოვაში ხომ უკანალი გამოუმზეურა, აქ კი ვარჯიშის ბოლოს კვანტი დაუდო და მერე ჭიტლაყიც მიაყოლა. მთელი ვარჯიშის მანძილზე გაზას მცველი ფხიზლად იდგა სადარაჯოზე და გესქოინთან არავის უშვებდა. მანამდე კი კინაღამ ერთი კოლეგა გაგვილახა. მაკმანამანმა და ინსმა მას თავაზიანად დართეს ნება, მათთან სურათი გადაეღო, თანაც ხელიც გადაახვევინეს, აი, როგორც კი გესქოინს მიუახლოვდა, მცველი უმალ ეცა და აწეული ხელი ჩამოაღებინა, თანაც ისე დაუცაცხანა, მიგვახვედრა, ბოლო გაფრთხილებააო. გასახდელში მიმავალ გაზას ხალხი ოვაციებით აცილებდა. ოდნავ ნაკლები პატივი ერგო მაკმანამანს.

ახალგაზრდული ნაკრები კი უცნაურად გამოიყურებოდა. ამ თვითმფრინავს რომ არ ჩამოჰყოლოდნენ, ზაირის ნაკრებისგან ვერ განასხვავებდით. თუ ეროვნულში ჯერჯერობით თეთრები სჭარბობენ შავებს, ახალგაზრდულში, ფაქტიურად, თანაბრობაა.

უცნაური მათი ვარჯიშის ელემენტებიც გახლდათ: ჯერ „ხორუმივით" იცეკვეს, მერე ქართული ჭიდაობის ილეთებივით რამ გვანახეს, ბოლოს კი ცოტა უჩვეულო ვარჯიშით დაასრულეს მოთელვა. ერთსაათიანი უბურთო ვარჯიშის დროს ინგლისელმა ჟურნალისტებმა (მათგან ერთ-ერთი ფრიად მომხიბლავი ლედი გახლავთ) პრესლოჟა და პრესკონფერენციის დარბაზი ინახულეს, კმაყოფილებმა გადაულაპარაკეს ერთმანეთს, ეს რა კარგი დარბაზი ჰქონიათო და, მერე იქ გამოკიდებული ქართველი ოლიმპიურ ჩემპიონთა ფოტოები რომ იხილეს, მათი ვინაობითაც დაინტერესდნენ, შემდეგ კი გვითხრეს, დღეს გამოვიძინებთ და ხვალ 14 საათზე „მეტეხში" პრეს-კონფერენციაზე გეპატიჟებითო.

ილია ბაბუნაშვილი
მამუკა კვარაცხელია
ბადრი კეთილაძის ფოტოები



ინგლისელთა პირველი ვარჯიში თბილისში

## გაუმარჯოს რომის პაპს



ზურაბ მეძველია ლონდონიდან

## თბილისელო ბოზებო, მიაკითხეთ ბრიტანეთის საელჩოს!

საქართველო ინგლისელებმა პირველად შარშან, ივლისში, გიო ქინქლაძის მანჩესტერში ჩასვლის მერე გაიგეს. ახლა კი დღე არ არის, ყველა გაზეთმა თითო სტატია მაინც არ უძღვნას ჩვენს ბედკრულ ქვეყანას. ფეხბურთის თემა, ცხადია, ჭარბობს, მაგრამ არ დარჩა საქართველოს ისტორიისა თუ აწმყოს მნიშვნელოვანი მომენტი, აქ რომ არ დაიწეროს და ითქვას. ამაში ქვემოთ ჩვენი მკითხველებიც დარწმუნდებიან. თუმცა, სანამ ინგლისური გაზეთების მიმოხილვაზე გადავალ (სხვა რაღა დამრჩენია, მთავარი მოქმედი პირები უკვე მანდ გყავთ), არ შეიძლება კმაყოფილების გრძნობით არ აღვნიშნო „სარბიელის" მიერ გაკეთებული ეროვნული საქმე. ვისაც ჩემი წინა წერილი ახსოვს, აქაურ ტელეეკრანებზე მოფრიალე „ჩვენი" ძველი დროშის ამბავიც გაახსენდება. ფოსტიდან შინ დაბრუნებულს არაბუნებრივად გაჯგიმული დათო მჭედლიშვილი დამხვდა. მას არც დრო (აქ რომ მეტად ძვირად ფასობს) და არც ფული (აქ კარის მეზობლისგან დარეკვაც გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული) დაუნანებია — SKY-ში დაურეკავს, მთელი ტელეკომპანია შეუწრიალებია და ბოლოს ისეთ კაცთან უსაუბრია, იმას — გავარკვევ, დამნაშავეს დავსჯი, თქვენ კი დიდი ბოდიში და დიდი მადლობაო, უთქვამს. შედეგი? გუშინ SKY-ის არხით ტელეეკრანზე ამაყად ფრიალებდა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა!

ახლა კი, დაპირებისამებრ, რას წერს აქაური პრესა, თუმცა, აშკარად უფრო იოლი იქნებოდა იმის თქმა, რას არ წერს. წერენ ყველაფერს და ყველაზე — შევარდნაძიდან დაწყებული სტადიონის დამლაგებლით დამთავრებული.

„საწი": გაზას პრობლემებზე ქართულმა გაზეთებმა ლამის ინგლისურებს გაუსწრონ. ამიტომ ჩივაძე კარგადაა ინფორმირებული ყოველივეზე. იგი ეთანხმება ჰოდლის გადაწყვეტილებას და ამბობს, რომ თავადაც ასე მოიქცეოდა. მისი თქმით, მან კარგად შეისწავლა ინგლისის ნაკრები და მიაჩნია, რომ იგი ინგლისის ისტორიაში საუკეთესოა. ჩივაძეს განსაკუთრებით მოსწონს დევიდ სიმენი და ინგლისელთა დაცვა.

...ჰოდლი ერთობ კმაყოფილია იან რაიტის ფორმით. შეკრების პირველი ორი ვარჯიში მცირე ტრავმების გამო გამოტოვეს სიმენმა და მერსონმა, აგრეთვე დომინიკ მატეომ, ვინც მუხლის ძველმა ტრავმამ შეაწუხა. ამ დღეებში გესქოინი ისე იქცევა, თითქოს ცხოვრებაში ცუდი სიტყვაც კი არ წამოსცდენია. „ვიცი, დასამტკიცებელი მაქვს, რომ ნორმალური ვარ. მე დავამტკიცებ, რომ დიდი ფეხბურთელი და ჯიგარი ადამიანი ვარ" — ამბობს იგი.

იხილეთ მეორე გვერდი

## პარასკევს, ასოციაციის ოფისში

დიდ მატჩს, მოგეხსენებათ, დიდი ვნებათაღელვა ახლავს.

ხმა დაირხა, 1996-97 წლების აკრედიტაცია გაუქმებულია, საქართველო-ინგლისის მატჩზე ფეხბურთის ფედერაცია ახალ საშვებს გასცემსო. ხმა დაირხა კი არა, ამის თაობაზე ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე აუწყა ნოდარ ახალკაცმა, თუმცა იქვე დაგვამშვიდა, გარეთ არავინ დარჩებაო.

ვითარების გარკვევა ვთხოვეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტს, კავკასიის და შუა აზიის ქვეყნებში სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის (AIPS) კოორდინატორს ელგუჯა ბერიშვილს.

— ჯერ ადრინდელი ამბები გავიხსენოთ. საფეხბურთო სეზონის დასაწყისში, საყოველთაოდ მიღებული პრაქტიკის და AIPS-ის რეკომენდაციის თანახმად, სპორტულ ჟურნალისტებს — პრესისა და ტელე-რადიოს წარმომადგენლებს ეძლევათ აკრედიტაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ სპეციალური ბარათის მფლობელს უფლება აქვს დაუბრკოლებლად შევიდეს სტადიონზე და დაიკავოს სამუშაო ადგილი, ანუ პრესის ლოჟა, ფოტორეპორტიორები და ტელეოპერატორები უშუალოდ არენაზე გადიან. აკრედიტებულები ესწრებიან მატჩისშემდგომ პრესკონფერენციებს. ამ საქმეს, საერთოდ, საერთაშორისო მატჩებზე პრესცენტრის მუშაობას, ჩვენი წესდებისა და ფედერაციასთან შეთანხმების საფუძველზე, აგვარებს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია. წლეულსაც ასე იყო: პრესითა და ტელევიზიით გამოცხადდა აკრედიტაცია, საინფორმაციო საშუალებათა განაცხადები განიხილა სპეციალურმა კომისიამ და, პრესის ლოჟაში ადგილების გათვალისწინებით, გაიცა საკრედიტაციო ბარათები.

საქართველო — ინგლისის მატჩის წინ ფეხბურთის ფედერაციას საჭიროდ მიაჩნია ჟურნალისტთა ხელახალი რეგისტრაცია, რასაც, ბუნებრივია, აზრთა სხვადასხვაობა და კითხვები მოჰყვა. რატომ გახდა აუცილებელი უკვე მიღებული გადაწყვეტილების რევიზია? რა პრინციპით მოხდება დამატებითი აკრედიტაცია? ხომ არ დაირღვევა ჟურნალისტის პროფესიული უფლებები? ამ და სხვა საკითხთა გასარკვევად რამოდენიმეჯერ შევხვდი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს, მათ შორის — პრეზიდენტს და გენერალურ მდივანს. ისინი მიიჩნევენ, რომ შესამცირებელია აკრედიტებულთა რაოდენობა, გადასახედია პერსონალური შემადგენლობა. შესაძლოა, აქ ზოგი რამ მართლაც საკამათო და მოსაგვარებელი იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, 9 ნოემბრის მატჩის წინ დამატებითი პრობლემები და ვნებათაღელვა სასურველი არ არის. არც იმას კვლევა იქნება გამართლებული, ვინ, სად, რა გამოაქვეყნა და ვინ გააკრიტიკა. ყოველ შემთხვევაში, ამის აკრედიტაციასთან დაკავშირება და არასასურველ ჟურნალისტთა „დისკვალიფიკაცია" მიუღებელია...

საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ სეზონის აკრედიტაცია ძალაში რჩება, მაგრამ ჟურნალისტები დამატებით საშვებს მიიღებენ. ეს მოხდება პარასკევს, დღის პირველ ნახევარში, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ოფისში. კიდევ ერთი სიახლე: ტრადიციული პრესის ლოჟა, ფედერაციის გადაწყვეტილებით, მატჩის საპატიო სტუმრებს დაეთმობათ, ჟურნალისტები კი ქვემოთ ჩამოინაცვლებენ. ესეც, ალბათ, ჟურნალისტთა ინტერესების „დასაცავად" კეთდება, მე კი მგონია, რომ სანამ ეროვნულ სტადიონზე, შესაფერის ადგილას და შესაბამისი სტანდარტის ახალი პრეს-ბლოკი არ მოეწყობა, პრობლემა მოგვარებულად არ ჩაითვლება. ამის თაობაზე არაერთხელ გვითქვამს, დაგვიწერია და მიგვიწერია, მაგრამ ჯერჯერობით პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

# გაუმარჯოს რომის პაპს

„ივნინგ სტანდარდი“: – ირაკლი ზოიძე, საქართველოს ნაკრების მეკარე, მოდური სათვალით, გემოვნებიანი ჩაცმულობით და BMW-თი წარმატებული ფეხბურთელის მაგალითი და თბილისელი გოგონების თაყვანისცემის ობიექტია. ოზურგეთელ ზოიძეს თავის დროზე სეპარატისტებიან ომში წასვლა სურდა, მაგრამ არ გაუშვეს, მისი ბევრი მეგობარი კი იქ დაიღუპა. მას მიაჩნია, რომ შირერი უძლიერესი თავდამსხმელია და კმაყოფილებას ვერ მალავს, რომ ის თბილისში არ ითამაშებს. „თუმცა მაინც ძალიან ძნელი თამაში გველის“ — ამბობს თბილისის „დინამოს“ კაპიტანი, რომელიც, მართალია, დილმის მყუდრო საწვრთნელ ბაზაზე მოცილებულია ქალაქის პრობლემებს, მაგრამ ბევრ რამეში მაინც ისეთივე ქართველია, როგორიც სხვები. თუნდაც იმით, რომ მისი მანქანის საქარე მინა ისევე გაბზარულია, როგორც უმრავლესი მანქანისა — ინგლისში მარცხენამხრივი მოძრაობაა, დანარჩენ ევროპაში მარჯვენამხრიანი, ქართველებისთვის კი ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს — ისინი ცენტრში სიარულს ამჯობინებენ და ქალაქის ქუჩებში ისევე დადიან, როგორც ჩვენში ჩქაროსნულ ტრასაზე.

–75 ათას მაყურებელს შორის აუცილებლად იქნება თავისი სტატუსით ყველაზე დიდი ქართველი გულშემატკივარი, 68 წლის ედუარდ შევარდნაძე. „ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ შაბათს ის სტადიონზე იქნება“ — ამბობს ჩივაძე.

– კიდევ ბევრს სურდა ფეხბურთზე სიარული და საერთოდ ცხოვრება, მაგრამ ისინი ომში დაიღუპნენ. მათ შორის იყო ფეხბურთელი ზაზა ბენდელიანი, ვისაც მისი მეგობრები ახლაც დიდი პატივით იხსენიებენ და მისი სახელობის ტურნირსაც ატარებენ. ომობდა გრიგოლ ცაავაც, რომელიც გადარჩა, ფეხბურთს დაუბრუნდა, მაგრამ ომის სტრესისგან ვერ განთავისუფლდა და კარიერა დაამთავრა.

–ფეხბურთს ქართველებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მოედანი მათთვის ხანდახან ბრძოლის ველს უტოლდება. ამიტომ ჰოდლს და მის ბიჭებს შაბათს მხოლოდ 11 კაცთან როდი ექნებათ სათამაშო — მათ წინააღმდეგ მთელი ერი იქნება.

“დეილი ტელეგრაფი“, მიმომხილველი ბრაიან ბათლერი, ვინც უკვე ყოფილა საქართველოში 1986 წელს:

ინგლისის ნაკრებისთვის ეს თამაში მეასე მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. რა თქმა უნდა, ამის გამო სამეფო კარისგან ჰოდლი მისალოც წერილს არ უნდა ელოდოს, მაგრამ კარგი იქნება, თუ მისი გუნდი თბილისში მეფურად ითამაშებს. ისე, მე თუ მკითხავთ, კარგი ნებისმიერი ანგარიშით მოგება იქნება. –საქართველოში წამსვლელებს გაფრთხილებთ: მთავარი საშიშროება ქართული კერძო სტუმართმოყვარეობაა — მათი სასმელი სასიკვდილოა, სუფრასთან ჯდომისას ქართველებს დროის შეგრძნების უნარი ეკარგებათ, ადღეგრძელებენ ყველას და ყველაფერს — რომის პაპიდან დაწყებული მულტფილმების გმირებით დამთავრებული. გეშინოდეთ ქართველების — მათი ეროვნული პოემის მთავარი გმირი ვეფხვის ტყავით შემოსილი კაცია.

„დეილი ექსპრესი“: ძალიან კარგი, რომ გაზას პირველი თამაში ცნობილი მოვლენების მერე თბილისში შედგება — თბილისში შუქი არ არის და საღამოობით ქალაქი უკუნეთში იძირება. ასე რომ, ჰოდლს სასტუმროში არავის ძალით დაკავება არ მოუხდება. სასტუმრო „მეტეხში“, სადაც ჩვენები იცხოვრებენ, მდებარეობს ბრიტანეთის საელჩო და მის თვალს არაფერი გამოეპარება. საკვირველია, მაგრამ ყველა დიდი ოტელისგან განსხვავებით, „მეტეხში“ ბოზები არ არიან. ბრიტანეთის ელჩის თანაშემწემ მაიკლ ჰენქიქსმა თქვა: „სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ მთელი ქალაქი მოვიარე და ერთი ბოზიც კი ვერსად ვნახე. არადა, მეგონა, ისევე, როგორც სოცბანაკის ყოფილ ქვეყნებში, აქაც ტელეფონის რეკვით შეგვაწუხებენ — ქალი ხომ არ გნებავთო.

–გესქოინის და მისნაირი ტემპერამენტის პატრონ ჩვენს ფეხბურთელებს ნებისმიერ ცდუნებას ჩაუხშობს ცივი წყალი, სტადიონის გასახდელში რომ მოდის. შევარდნაძემ, მართალია, შეაჩერა ომი, მაგრამ ცხელ წყალსა და გათბობას ვერ მიაღწია. ამიტომ ქართველები შიშით ელიან მორიგ ზამთარს.

–სკოტლანდ იარდმა შესთავაზა თავიანთ ქართველ კოლეგებს დახმარება ინგლისელი ფანების მოვლა-პატრონობის საქმეში, მაგრამ დევი იმედაშვილმა (არ ვიცი ვინაა) ჩაიცინა და თქვა, რომ მათ იციან, როგორ მოუარონ წესრიგის ნებისმიერ დამრღვევს. „თანაც 1000 კაცი ვერაფერს გახდება 75 ათასის წინააღმდეგ“ — ამბობს იგი.

–მართალია, სტადიონი გაივსება, მაგრამ, ტრადიციულად, ყოველი მეოთხე უბილეთოდ შეიპარება.

# «მერსედესი» არ დაიდგამს უნაგირს?

გუშინწინდელ სუსხიან, თითქოსდა ჩვეულებრივ დილას მე და ჩემს კოლეგებს ადრე მოგვიწია ძილისგან თავის დახსნა. საადრეო ისეთი რა უნდა ყოფილიყო, თუ არა ჩვენი ნაკრების საინგლისო შეკრებაზე გამოჭრილი ერთადერთი ღია კარის დღე. დამეთანხმებით, თერთმეტის ნახევარს ადრე არ ეთქმის. მაგრამ პიკის საათებში დიღომში გასვლა არც ისე იოლია და დროსაც საკმარისად ბევრს მოითხოვს. ასე რომ, თადარიგის დაჭერა არავის აწყენდა და გასაკვირიც არ იყო, დიღმის საწვრთნელ ბაზას თითქმის ყველანი ადრიდანვე რომ ვეახელით. მერე და მერე ლამის ყველა სპორტზე მწერალ-მოსაუბრე აქვე მოგროვდა და ვიდრე ნაკრები ვარჯიშს დაიწყებდა, ჩვენი ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილიც რომ გვერდით გვყოლოდა, იქვე სახელდახელო ყრილობის გამართვაც შეგვეძლო, რიგგარეშე თავყრილობის ძირითად თემას კი, ვფიქრობ, უპრობლემოდ მოვნახავდით. თუნდაც ხელახალი აკრედიტაციის საკითხი ყოფილიყო, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის გამოისობით ყველა ჟურნალისტს ჰამლეტის კითხვაზე ნაკლებ არ აწუხებს. შესვლა-არშესვლა საქართველო-ინგლისის მატჩზე, საკითხავი, აი, ეს არის! მადლობა ღმერთს, დილის ვარჯიშზე შესვლისას ასეთი პრობლემა ჩვენს წინაშე არ დამდგარა. დიღმის ბაზაზე ჭიშკართანვე ისე დაგვხვდნენ, თითქოს კარგა ხანია დედოფლის მაყრიონივით გველოდნენ და, ღვთის მადლით, სალსალამათნი გვიხილეს, მეტიც, პრესბილეთი პირადად ჩემთვის არავის მოუთხოვია. ეს გასაკვირადაც დამრჩა, რაკიღა დიღომს იშვიათად ვსტუმრობ და ისევე, როგორც სხვათათვის, ბაზის დარაჯთათვისაც ისეთი ავტორიტეტი სულაც არ გახლავართ, პირადად რომ მცნობდნენ. გაგიგია, კაცს გულღიად გხვდებოდნენ და ეს გულღიაობა არად ჩააგდო? მაგრამ მართალს ვიტყვი, ეს ყველაფერი ჩვენებურ დაუდევრობად ჩავთვალე და არ მეპიტნავა, რაკიღა, ეტყობა, ეროვნულ სტადიონზე ეროვნული პოლიციის ხშირ შეუვალობას (აკრედიტაციის მიუხედავად) დავეჩვიე. გული მაშინღა დავიმშვიდე, ვარჯიშისას ლობესმოჯარულ ქომაგებს რომ ვკიდე თვალი და მათში ბავშვებთან ერთად სოლიდური ასაკის მამაკაცთა სილუეტებიც რომ გავარჩიე. რა დასამალია, ჟურნალისტიკაში ერთი საკმაოდ უსიამოვნო, მაგრამ მაინც საამაყო გამოთქმა არსებობს: კარიდან რომ მიგაბრძანებენ, ფანჯრიდან უნდა გადაძვრეო. ეტყობა, აკრძალული ხილის გემოს ისეთი მომნუსხველი ხიბლი ახლავს, რაგინდ ღია იყოს კარი შენთვის, „ფანჯრიდან“ გადაძრომა მაინც მეტ სიამოვნებას განიჭებს. ხანდახან ჩიტი გინდა იყო, ბაზაზე შეუმჩნევლად რომ შეფრინდე და იქ ყურმოკრული თუ ნანახი ხალხამდე მიიტანო. თუმცა, ბაზაზე შესვლის მსურველთა ახლო ისტორიულ წარსულს ასეთი ფრაზაც არაერთი ახსოვს — ბაზაზე ჩიტიც ვერ შეფრინდებაო. წარსულს შევეშვათ, რა აზრი აქვს იმ კარის თავით გატანას, რომელიც ღიაა, მითუმეტეს, თუ ამ კარს იქით მყოფნიც ისეთი ხალისით დაგხვდებიან, როგორც გუშინწინ ბაზაზე.

თავიდან ერთგვარი უხერხულობა იგრძნობოდა. ბიჭები ვარჯიშებზეც საკმაო ენთუზიაზმით ხვდებოდნენ შეთავაზებას ტელე-რადიო თუ საგაზეთო ინტერვიუს შესახებ, მაგრამ ვარჯიშის შემდეგ მინი-პრესკონფერენციებმა სულ სხვა მასშტაბები მიიღო და რიგებიც დადგა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ კორესპონდენტთა რაოდენობა ბევრად სჭარბობდა არამარტო რესპონდენტთა, არამედ საერთოდ თბილისში გამომავალი გაზეთების რაოდენობას. ვარჯიშის დაწყებამდე ბაზას კიდევ ერთი სტუმარი ეწვია, რომელიც ზუსტად 5 წუთში უკვე მასპინძლის როლში ვიხილეთ და ჟურნალისტთა ინტერესს ისეთივე გულმოდგინებით აკმაყოფილებდა, როგორც სხვები. ეს საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახი ცხადაძე გახლდათ, ფრანკფურტიდან რამდენიმე საათის წინ რომ ჩამოფრენილიყო. ფრანკფურტის რეისს თბილისში კიდევ ერთი ლეგიონერი, აწ უკვე ცხადაძისვე თანაკლუბელი გიორგი ქინქლაძე უნდა ჩამოეყვანა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, გიოს თვითმფრინავზე დაჰგვიანებია და მას ქეცბაიასთან და გორიჭიანთან ერთად საღამოსთვის ელოდნენ.

თორმეტის ნახევარზე დაიწყო ვარჯიში, რომლის ხილვის საშუალება პარალელურად მოვარჯიშე ახალგაზრდული ნაკრების უშუალო ქომაგთა გარდა ყველას ჰქონდა, მაგრამ ამ პროცედურის აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ მოკლედ გეტყვით, რომ მოთელვის, ძუნძულის, ბურთთან გაშინაურებისა და ბარიერების გადალახვის გარდა, ერთმა უფრო ხალისიანმა ვარჯიშის ელემენტმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. ალექსანდრე ჩივაძე ყოველ ათ წუთში თავისთან მიიხმობდა მორიგ სამეულს, რომელსაც წინა, გამარჯვებულ ტრიოსთან ერთგვარი „ორი გოლი“ უნდა ეთამაშა. ამათგან ორი მატჩის მოგება ვერავინ შეძლო, რაც კანონზომიერებასაც შეიცავდა. „ბრძოლის ველზე“ დიდხანს არავინ რჩებოდა და თავის გამოჩენის საშუალება პირველი და ბოლო გუნდის გარდა ყველას ერთნაირად ეძლეოდა. მინი-მოედანზე გაჩაღებული მინი-ფეხბურთი, ჩივაძე ჩვეულებრივი წესების დაცვით რომ მსაჯობდა, სრულფასოვან თამაშზე არანაკლებ კონტაქტური გახლდათ, საკმაო ენერგიასაც მოითხოვდა და, რაც მთავარია, შორიდან დარტყმის წახალისებას ისახავდა მიზნად. წითელი ნიშნულებით ორივე გუნდისთვის ის ზღვარი იყო გავლებული, რომლის გარედან დარტყმული ბურთი ორ გოლად ფასდებოდა, რა თქმა უნდა, თუ მას ზოიძე ან ტოგონიძე კარში შესვლის საშუალებას მისცემდნენ.

სხვამხრივ ვარჯიშმა ჩვეულებრივად ჩაიარა და იმის მიუხედავად, რომ აუდიტორია უჩვეულო ჰყავდათ, ფეხბურთელებს განსაკუთრებული კოჭწიაობა არ გამოუჩენიათ. ეტყობა, მათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ ბურთის კენწვლით დღეს ვერავის გააკვირვებ და საკუთარი სიძლიერის დასამტკიცებლად 9 ნოემბრის მატჩზე უკეთესი შანსი არ არსებობს.

სასიამოვნო იყო, რომ მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ჟურნალისტებმა ბაზაზე დავყავით, თავს ზედმეტად არ ვგრძნობდით. ისიც ვიგრძენით, რომ ღია კარის დღე მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით არ მოუწყვიათ. თუნდაც ის ფაქტი, რომ ასეთი რამ ნაკრების ხელმძღვანელებმა საჭიროდ ჩათვალეს, მრავლისმეტყველია, თორემ ფეხბურთელებზე „ნადირობასა“ და მათ „გამოჭერაში“ ისე ვართ გაწვრთნილნი, მათკენ მისასვლელ გზას მაინც ვიპოვიდით. ამჯერად ეს არ გახდა საჭირო. ბიჭებმა ყველა ჟურნალისტის ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილეს. თავად ჩივაძემაც, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინც მოიცალა ჩვენთან სალაპარაკოდ, მოკლედ, ყველაფერი დალაგებულად მიდიოდა, თუმცა, ერთი მიკროტრავმა ვერ ავიცილეთ. არა, ნუ გეშინიათ, ფეხბურთელები ყველა ჯანმრთელად არიან. ტრავმა ალექსანდრე ჩივაძემ საკმაოდ უხეში დაფარებით ფოტო-კორესპონდენტებს მიაყენა. ვარჯიშის დაწყებისას ბატონი საშა ფოტორეპორტიორებს შეესიტყვა, მინდორზე ნუ შემოდიხართ, ანდა ისეთი აპარატურა იშოვნეთ, ფეხბურთელები ცოტა ახლოს რომ მიიყვანოთო. ვის, ვის და, ბატონ საშას, მიუხედავად იმისა, რომ ცამდის მართალი იყო, თავის მოთხოვნისთვის მწარე სიმართლე აღარ უნდა მოეყოლებინა, მტკივან ადგილზე ფეხი არ უნდა დაეჭირა. ნებისმიერი დილეტანტიც კი ნებისმიერი კატალოგის უბრალო დათვალიერებითაც მიხვდება, რომ ჩვენს რეპორტიორებს ნორმალური ტექნიკის შესაძენი თანხა არ გააჩნიათ. ისე, რასაც ესენი ამ ტექნიკური ალჭურვილობით ახერხებენ ეროვნული სტადიონის ნახევარგანათების ფონზე, ესაც სასწაულია. თუმცა, რა, თავისი საქმის ზოგი პროფესიონალი მდარე ტექნიკით უკეთ ილებს, ვიდრე უგულო და უნიჭო ბრწყინვალე ოპტიკური საშუალებებით. ეს, ბატონ ალექსანდრესაც კარგად მოეხსენება, იგივეა, ჭკვიანმა მწვრთნელმა დაბალი დონის ფეხბურთელებით ძლიერ მოთამაშეთა გუნდი რომ დაამარცხოს, რომელსაც ამბიციური და თვითკმაყოფილი მწვრთნელი ჰყავს. ხდება ხოლმე ასეც. ამის მოწმე არაერთხელ გავმხდარვართ.

ჩვენებური პრობლემები აქვე რომ მოვილიოთ, ერთსაც გეტყვით: არც ისე ცუდად გვქონია საქმე, ადრე რომ გვეგონა. წინა „სარბიელში“ ჩვენი კორესპონდენტის ზურაბ მეძველიას რეპორტაჟს წაიკითხავდით ლონდონიდან. გადასარევ რამეს გვწერდა: მთელი ჩემი ავლადიდება პაბში დავტოვე და გაზეთის საყიდლად ქუჩაში გასული რომ შევბრუნდი, ყველაფერი ადგილზე დამხვდაო. ჩემდაუნებურად ამგვარი რამ მეც შევიმთხვიე: ვარჯიშამდე მინდვრის პირას მერხზე ჩამოვჯექი და იქიდან მალევე წამომდგარმა ერთი საათის მერეღა აღმოვაჩინე, რომ ჯერ ისევ „ქარქაშში“ ჩაგებული დიქტოფონი მერხზე დამრჩენოდა. ხელუხლებლად დამხვდა ადგილზე. იმის მიუხედავად, რომ გინდა არ გინდა, მას არაერთი კალმის იმედად მყოფი ჩემი კოლეგა აუვლჩაუვლიდა, მაგრამ აზრადაც არავის გაუვლია მისი თუნდაც პატრონის მოკითხვა. ასე რომ, ჩვენს პოლიციას შეუძლია მშვიდად იყოს, რაკი ჟურნალისტები ასეთი კეთილსინდისიერები ჰყავს.

სამაგიეროდ, მთლად კეთილსინდისიერნი ვერ უნდა იყვნენ თელასის ის თანამშრომლები, რომლებიც დიღმის ბაზასთან ჩამომავალ „უკვდავების წყაროს“ დევებივით გადაჰფოფრებიან, ანუ საქართველოს ნაკრებს შუქს ხან გამოურთავენ, ხანაც გაუგზავნიან. ჩვენი იქ ყოფნის დროსაც ჩაქრა შუქი და მაშინვე ბაზის დირექტორი მურმან ნებიერიძე მოიკითხეს. ამ კაცს მოსვენება დაუკარგეს და აქაც რომ მას მიმართეს, აღშფოთებულმა წამოიძახა, ჩემთან რა გინდათ, გაბრიჩიძე (თელასის უფროსი) ხომ არ ვარო. ხუმრობა იქით იყოს და, მაშინ, როცა ყველამ იცის, ბაზაზე შუქის გამორთვა გაზზე გაცხელებული კასრებით სირბილს და წუწაობას რომ ნიშნავს და მაინც თიშავენ, იოლი წარმოსადგენია, საქართველო-ინგლისის მატჩისას მთელი ქვეყნის მოსახლეობა ისეთივე დღეში რომ აღმოჩნდება, როგორშიც გერმანიასთან შეხვედრისას. ასეთი პერსპექტივა კი, ვფიქრობ, არავის ხიბლავს. სამაგიეროდ, ბრწყინვალე პერსპექტივა გადაეშალათ ნაკრების ფეხბურთელებს. ის, ვინც დევიდ სიმენს პირველ გოლს გაუტანს, „საველიჩის“ მიერ დაწესებულ პრიზს, ახალთახალ „მერსედესს“ გახდნავს. ჯერ პავშვი არ დაბადებულიყო და უკვე აბრამს არქმევდნენო, მგონი, ზოგს ასე მოსდის. ყოველ შემთხვევაში, ბაზაზე დარხეულ ჭორს თუ ვენდობით, უკვე დაუწყიათ იმაზე ფიქრი, ერთმა ფეხბურთელმა სამი კაცი რომ მოატყუოს და საგოლე პასი გასცეს, პრიზი სრულად მაინც გოლის ავტორს ერგებაო. „საველიჩის“ გარჯა მოსაწონია, მაგრამ მას ერთი უხერხულობაც ახლავს. არცერთ ნორმალურ ქვეყანაში გოლის გატანისთვის პრიზს არ აწესებენ, თამაშისას ფეხბურთელებს ამან ხელი რომ არ შეუშალოს. უკრაიაში იქნოდა საუკეთესო მოთამაშისთვის გადაეცათ ჯილდო, მაგრამ ქართველ ჟუ[illegible]ბიექტივიზმში ესეც არ გამორიცხავს და, ეტყობა, ამიტომაც მიიღეს ასეთი „არასწორი“ გადაწყვეტილება. ამას შევეშვათ, მითუმეტეს, ჯერ გოლიც არავის გაუტანია. ახლა ისა ვთქვათ, რომ თავისთავად ფეხბურთით რეკლამის მოსურნეების გამოჩენა ერთობ სასიამოვნოა. აბა, სად “მერსედესი“ და სად უბრალო გამაგრილებელი სასმენი, მაგრამ რეკლამა, ეტყობა, ამას უფრო სჭირდება. ბაზაზე მისულთ თვალთახედვიდან არ გამოჰპარვიათ მინდვრის კუთხეში მაგიდაზე გაწყობილი „ლილოს“ ფორთოხლის წვენის კოლოფები. იოლი მისახვედრი გახლდათ, რა დანიშნულებაც ჰქონდათ მათ. მითუმეტეს, რომ რეკლამის მსურველისა და ნაკრების ექიმის დიმა ზაალიშვილის ცხარე საუბარსაც შევესწარი. ექიმი თავისაზე იდგა, ბიჭებს ასეთ წვენს არ ვასმევთო, მაგრამ ბოლოს მაინც დაჰყარა ფარხმალი. სხვათა შორის, წვენით გაგრილების (ამისი აუცილებლობა არც კი არსებობდა) უფლება ჩვენ ჟურნალისტებსაც გვქონდა, მაგრამ ამისთვის არ გვეცალა. ასე რომ, მისი ხარისხის შესახებ შოთა არველაძის ნათქვამს უნდა ვენდოთ. ბიჭებს, რა თქმა უნდა, ტელევიზიაც ილებდა და შოთამაც, იაკუბოვიჩივით სხვადასხვა ინტონაციით, ხუთჯერ გაიმეორა: „ლილოს“ ფორთოხლის წვენი? მაგარი რამეა! თითოეულს შორის კი ახლომახლო მჯდომი გოგიჩა ტალახიან ბუცებს ქაცვებით ერთმანეთზე ფერთხავდა. ეს ყველაფერი ისე რიტმულად ხდებოდა, იფიქრებდი, კახი შეგნებულად ატკაცუნებს დუბლებს შორისო.

ვარჯიში რომ მორჩა, ფეხბურთელებს შავთეთრ-შინდისფრად ნაქსოვი ნაკრების კაშნეები მოახვიეს და თავზეც ქუდები ჩამოაფხატეს. ვერც ამ სიახლის ხარისხის შემოწმებას შევძლებდი, ისეთივე შეფერილობის ყელსახვევი ერთი ჩემი კოლეგის ყელზე რომ არ შემემჩნია.

გაწბილებული დავრჩი — კაშნე „დინამოსი“ აღმოჩნდა, ისაც, რატომღაც, არა თეთრ-ლურჯად, არამედ ეროვნულ ფერებში გახლდათ გადაწყვეტილი. ამან ერთი მიმქრალი კითხვა შემახსენა, „დინამოს“ გამანადგურებელ მარცხამდე დღის წესრიგში რომ იდგა. კითხვა — „დინამო“ სჯობს თუ ნაკრები — დროებით მოხსნილია, ყოველ შემთხვევაში, 9 ნოემბრის მატჩამდე. ისე კი, გულშემატკივრებიც და ხელისშემშლელნიც ორივეს ბლომად რომ ჰყავს, ფაქტია. ხელისშემშლელნი, რა თქმა უნდა, ჩვენ ჟურნალისტები გახლავართ. ასე ჩანდა „დინამოს“ ერთ-ერთი მწვრთნელის საქციელიდან, რომელიც აღშფოთებული იყო იმით, რომ ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტს დავით ყიფიანი აუგად მოუხსენებია და ლამის მთელი დილა მის ძებნას მოანდომა.

ვარჯიშის დამთავრებისთანავე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ სავარჯიშო მინდვრისა და დასასვენებელი შენობის მავთულბადიან ზღურბლთან ჟურნალისტთა მთელი არმია შემოიკრიბა და მცირე ბრიფინგი გაიმართა, რომელსაც ცოტაღა დააკლდა, პრესკონფერენციაში გადაზრდილიყო.

— მადლობას გიხდით ყველას აქ მობრძანებისთვის. სასიამოვნოა, რომ იგრძნობა გუნდის, ჟურნალისტების და ხალხის ერთსულოვნება. ყველანი ერთად ვართ. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს თქვენი მხარდაჭერის და ვეცდებით, ჩვენი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვიყენოთ ამ თამაშში. შემადგენლობა თქვენთვის ცნობილია, უფრო სწორად, იმ კანდიდატთა ვინაობა, ვინც ინგლისთან შეხვედრისთვის ემზადება. დღეს დაგვემატებიან ქეცბაია, ქინქლაძე, და გორიჭიანი. ასე რომ, 5-დან მთლიანად შევიკრიბებით.

**— ყაველაშვილი და რევაზ არველაძე რატომ არ არიან შეკრებაზე?**

— ნაკრებში არ გამოგვიძახეა.

**— ბატონო საშა, როგორი განრიგით წარიმართება ვარჯიშები?**

— საღამოს გვექნება ვარჯიშება, 6-ში დილითაც ვარჯიში და თეორიული მეცადინეობა, 7-ში დილით და საღამოს ვივარჯიშებთ.

**— ჩამოსულთაგან ტრავმები ხომ არავის აწუხებს?**

— ვინც ჩვენს განკარგულებაშია, მათგან ტრავმირებული ჯერჯერობით არავინაა, და ღმერთმა დაგვიფაროს! ასე რომ, ყველანი სრულიად ჯანმრთელად არიან.

**— ლეგიონერთა სათამაშო ფორმა თუ გაკმაყოფილებთ?**

— ვინც ჩამოსულია, მათი მომზადების დონით ჯერჯერობით კმაყოფილი ვართ, ყველა სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია.

**— რამდენი დებიუტანტი გეყოლებათ?**

— დებიუტანტი ვინ გვყავს? ჩხაიძე მხოლოდ.

**— დემეტრაძე?**

— დემეტრაძე აღარ უნდა იყოს დებიუტანტი, რადგან მან საბერძნეთში ითამაშა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

აქ 20 ფეხბურთელი ემზადება და საბოლოო შემადგენლობას თამაშისას გამოვაცხადებთ.

**ვახტანგ ბზიკაძე**



# კახი ცხადაძე: მე ჯერ კიდევ ბევრს შევძლებ

მთავარი მწვრთნელი საუბარს რომ მორჩა, ჩვენს განკარგულებაში კიდევ ნახევარი საათი იყო. ეს დრო იმ ფეხბურთელთა მოსახელთებლად გამოვიყენეთ, რომლებზეც ძალიან დიდი მოთხოვნილების გამო რიგები იდგა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა კახა ცხადაძემ, აქამდე ქართველ ჟურნალისტებთან გულღია საუბარი წესად რომ არ ჰქონდა, ამჯერად ამომწურავად უპასუხა ათეულობით ჟურნალისტის კითხვას.

**— კახი, ითამაშეთ თქვენი გამოსათხოვარი მატჩი გერმანიაში?**

— კი. ორშაბათს ვითამაშეთ სტუმრად ბერლინის „ჰერტასთან", ეს ჩემი ბოლო მატჩი უნდა ყოფილიყო გერმანიაში. 2:1 გავიმარჯვეთ და ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ. მეც, ასე ვთქვათ, გამაცილეს გულშემატკივრებმა, ფეხბურთელებმა, ყველამ. თუმცა,მოხდა ისე, რომ ეს შეხვედრა იმ დღეს დაემთხვა, როცა ევროპაში ტრანსფერები ხდება. ამიტომ მთავარმა მწვრთნელმა მთხოვა, მომდევნო ორშაბათამდე, შაბათს გასამართ მატჩში მეთამაშა. მეც სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან ინგლისის ნაკრებთან სათამაშოდ მოსამზადებელი პერიოდისთვის ამ შეხვედრას მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, ეს მატჩი იდიოტურად წავაგეთ. „ლეიპციგს" 87-ე წუთამდე 2:1 ვუგებდით და სამ წუთში ორი გოლი გაგვიტანეს.

**— გული არ გწყდებათ, გერმანიიდან რომ მიდიხართ?**

— სხვათა შორის, არა, რადგან პირველი ორი წლის განმავლობაში, მაღალი დონის გუნდში რომ ვთამაშობდი, გამუდმებით ჩართული ვიყავი ევროტურნირების მატჩებში და მაშინ თითოეულ შეხვედრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა — ხან ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით, ხანაც საპრიზო ადგილებისთვის, შემდეგ კი დაღმასვლა დაიწყო. „აინტრახტის" ყოფილ მწვრთნელთან ჰაინკესთან პრობლემებიც შემექმნა, რასაც ჩემი ტრავმა მოჰყვა.

ვთვლი, რომ რაღაც უნდა შეცვლილიყო და ამიტომ გადავწყვიტე გუნდიდან წასვლა. მითუმეტეს, რომ „აინტრახტს" ახლა დიდი პრობლემები აქვს. ამ მომენტში უკვე ბუნდესლიგაში დაბრუნებაზეც აღარ ფიქრობენ. ერთადერთი მიზანი აქვთ — ფეხბურთელები გაყიდონ, 8 მილიონი ვალი გაისტუმრონ და მომავალ წელს მონაწილეობისთვის საჭირო ლიცენზიის თანხა გამოძებნონ, თორემ ობერლიგაში ამოყოფენ თავს. ჩემში აღებული თანხით უკვე ბაინის გამოსყიდვა სურდათ იაპონიიდან, მაგრამ მაგ ფულსაც ალბათ ვალების დასაფარად გამოიყენებენ.

**— ესე იგი, თავს უშველეთ. თანაც „სიტიში" გადასვლა ყველაზე მეტად ალბათ ქინქლაძისა და ყაველაშვილის ფაქტორმა გადაწყვიტა.**

— რა თქმა უნდა, ასე იყო და პირველივე შანსი ხელიდან არ გავუშვი.

**— მანჩესტერში იყავი ჩასული?**

— სხვათა შორის, არა. ყველაფერი ფაქსით და სატელეფონო მოლაპარაკებებით გადაწყდა, მაგრამ საუბარი უკვე დამთავრებულია და აქედან პირდაპირვე წავალ ინგლისში, ოღონდ როდის ვითამაშებ პირველ შეხვედრას, ჯერ არ ვიცი.

**— „მანჩესტერ სიტის" თამაში თუ გინახავთ?**

— არა, მაგრამ ვიცი, რომ ქინქლაძის გარდა 2-3 კარგი ფეხბურთელი ჰყავს.

**— ინგლისისა და პოლონეთის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი თუ ნახეთ?**

— არა.

**— გერმანიის ნაკრებს რომ ხვდებოდით, მაშინ ბუნდესლიგაში თამაშობდით და გერმანელებს იცნობდით. ახლა ინგლისელებს უნდა ეთამაშოთ. მაშინ, როცა ინგლისურ კლუბში კი გადახვედი, მაგრამ ჯერ იქაურ ლიგაში არც გითამაშიათ...**

— ინგლისელებთან საკმაოდ ბევრჯერ მითამაშია და თვითონ ინგლისის ნაკრებსაც შევხვედრივარ მოსკოვში სნგ-ს ნაკრებში თამაშისას, ასე რომ, ისინი ჩემთვის მთლად უცხონი არ იქნებიან. ამას დიდი მნიშვნელობა არცა აქვს. მაგაზე სულ არ ვფიქრობ, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მოედანზე გასულმა ჩემი შესაძლებლობა უნდა გამოვავლინო და თუ ამას მივაღწიე, ეს ჩემი მაქსიმუმი იქნება. თუ მეტოქეს მაჯობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ჩემზე უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელია და იმიტომაც დამჯაბნა. პირადად მხოლოდ მაშინ ვიქნები კმაყოფილი, თუ საკუთარ თავთან არავითარი პრეტენზია არ მექნება. დანარჩენი, რა თქმა უნდა, ცოტა გამართლებაც უნდა იყოს, სხვაგვარად კარგი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნება.

**— როგორ ფიქრობთ, ჰყავს დღეს ინგლისის ნაკრებს ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ჩვენების აშკარად დაჯაბნა შეეძლოთ?**

— ინგლისელებს მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ ისე ვერ დაგვჯაბნიან, როგორც მოელდოვას. მართალია, ინგლისელები ჩვენებზე უფრო ძლიერ გუნდებში თამაშობენ, მაგრამ ვთვლი, რომ არცერთი ინგლისელი ჩვენს ფეხბურთელებზე ერთი თავით მაღლა არ დგას. იგივე უელსის ნაკრები გავიხსენოთ. მათი ფეხბურთელები ხომ ბრიტანულ გრანდებში გამოდიოდნენ, თუმცა კი ვერცერთ თამაშში ვერ გვაჯობეს.

**— იტალიასთან ჩატარებული თამაშით ბევრი უკმაყოფილო დარჩა, ბევრს კი მეორე ტაიმის შემდეგ კმაყოფილების გრძნობა დაეუფლა. როგორ თვლით, შეგეძლოთ უკეთესი შედეგისათვის მიგეღწიათ?**

— რა თქმა უნდა... როგორ არ შეიძლებოდა, მე მგონი, ყველამ ნახა, რომ შეიძლებოდა. პირველ ტაიმში ცუდ თამაშს სხვები ფსიქოლოგიურ განწყობას აბრალებენ. მე პირადად არანაირი ფსიქოლოგიური ზეწოლა არ განმიცდია. შემიძლია, ზოგიერთებზეც იგივე ვთქვა.მაგალითად, შელიამ და ნემსაძემ ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარეს ის მატჩი. უბრალოდ, თვითონ საკიმ აირჩია ისეთი ტაქტიკა, რომ ჩვენთვის თამაშის საშუალება არ მოეცა. მან ნახა ჩვენი თამაშები, ძალიან მაღალ დონეზე შეაფასა და შესაბამისი ტაქტიკაც დაგვიპირისპირა. ფაქტიურად, მან ჩვენი კოზირის — ბურთის გათამაშებისა და კომბინაციური თამაშის — გამოყენების საშუალება არ მოგვცა.

რაც შეეხება მომავალ თამაშს ინგლისელებთან, ისინი უფრო სხვაგვარი სტილის ფეხბურთს თამაშობენ. უფრო აძლევენ მეტოქე თამაშის საშუალებას. აი, ეს უნდა გამოვიყენოთ ჩვენს სასარგებლოდ. მათთან რომ 2 ფორვარდი უნდა ვითამაშოთ, ეს უეჭველია.

**— აქამდე კი ასე იყო, მაგრამ ბოლო დროს ინგლისი უფრო ევროპულ ფეხბურთს თამაშობს...**

— მართალია, ინგლისის კლუბებისგან განსხვავებით, ნაკრები უფრო კომბინაციურ ფეხბურთს ამჯობინებს, მაგრამ უდიდესი ყურადღება აქვს გამახვილებული სწორედ თავის ტრადიციულ თამაშზე და თავის კოზირზე.

**— ჩვენ თქვენგან მაღალი დონის კლუბებში მაღალი დონის თამაშსა ვართ ნაჩვევი. „სპარტაკი", მოსკოვის „დინამო", „აინტრახტი", რომელიც ერთი წაფორთხილების გამო ბუნდესლიგის ჩემპიონი ვერ გახდა, მაგრამ ბრინჯაოს პრიზიორობა კი მოიპოვა. ახლა „აინტრახტი" მეორე ბუნდესლიგაში იძირება, „სიტიშიც" დიდი ბრძოლა მოგიწევთ პრემიერლიგაში გადასვლისთვის. მოგცემთ თქვენი ასაკი იმის საშუალებას, რომ „სიტის" აღზევებაში დაეხმაროთ ანაც საკუთარი თავი ისე წარმოაჩინოთ, რომ ძლიერი კლუბი დააინტერესოთ?**

— ვიცი, ზოგიერთი ჟურნალისტი დღეს რაზეც ამახვილებს ყურადღებას. კი, მე მეორე ლიგის ერთი გუნდიდან მეორეში გადავედი. არავინ იცის, გერმანიაში ერთი თვე რომ გაჩერებულიყავი, სად გადავიდოდი. რაც შეეხება იმ საუბრებს, თითქოსდა „სიტისაც" ვალები აქვს, არა მგონია, სწორი იყოს გუნდს თუ ვალები აქვს, თავს უფლებას ვერ მისცემს, ფეხბურთელი იყიდოს.

პირადად ჩემს ფორმასთან დაკავშირებით ამას ვიტყვი: ტრავმის შერე თამაშის დაწყებისთანავე ვერც ვიქნებოდი სასურველ ფორმაში, მაგრამ ვთვლი, რომ იტალიასთან კარგ დონეზე ჩავატარე შეხვედრა. ასე რომ, იმაზე ლაპარაკი, თითქოს ცხადაძის მზე ჩაესვენა, არასწორია. ასაკიც არც ისე დიდი მაქვს. 28 წლის ვარ და ვთვლი, რომ ამით არ დამთავრებულა ჩემი კარიერა. „სიტიში" ჩემი გადასვლა სულაც არ ნიშნავს, რომ პრემიერლიგას თუ არ დაუბრუნდა, მე იქ დავრჩები. მე ჩემი გეგმა მაქვს. „სიტი" დიდი ტრადიციების გუნდია და ვეცდები, პრემიერლიგაში გადავიდეთ, მაგრამ 3 წლით კონტრაქტზე ხელის მოწერა ალბათ ხელს არ შემიშლის სხვა გუნდში გადასვლაში. ვთვლი, რომ მაღალ დონეზე თამაში კლუბში თუ ნაკრებში უნდა გავაგრძელო და დანარჩენს სიტუაცია გვანახებს.

**ვახტანგ ზზიძაძე**



# მურთაზ შელია: „ტრაბზონსპორი"? ვნახოთ...

მურთაზ შელიას, ვლადიკავკაზელ თანაგუნდელებთან ერთად, ნიჟნელებთან 3:1-ით მოგებამაც ვერ მოაპოვებინა ზედიზედ მეორედ რუსეთის ჩემპიონობა — ვლადიკავკაზელთა უმთავრესმა კონკურენტმა, მოსკოვის „სპარტაკმაც" გაიმარჯვა სტუმრად „ზენიტთან". თუმცა, მოსკოველთა ამ გამარჯვებამ უმალვე აღმართა არცთუ უსაფუძვლო ეჭვი: იქით მსაჯების მოქმედება, აქეთ პეტერბურგელთა მეკარის ნამეტანი უძლურება გაშვებული გოლებისას. შორიდან მზირალთ გადაჭრით კი რა გვეთქმის, მაგრამ თავად შელიაც ამავე აზრისაა.

— ჯერ კიდევ მაშინ, „სპარტაკმა" რომ „ტორპედოს" მოუგო, ეს საქმე მთავრობის დონეზე გადაწყდა. როგორი ამბავია, 1:3-ის შემდეგ „სპარტაკი" მოულოდნელად 4:3-ს იგებს. ასეთი რამ იშვიათად ხდება. ნახავდით, როგორ იქცეოდა მსაჯი პეტერბურგში, ვის სასარგებლოდ უსტვენდა. მოკლად, „სპარტაკის" ჩემპიონობა სურთ, ასე რომ, გადამწყვეტ შეხვედრაში დიდი ბრძოლა მოგველის.

**— სად გაიმართება ეს საჩემპიონო მატჩი?**

— მალე გაირკვევა. ჯერჯერობით ლაპარაკია კრასნოდარზე, სოჭზე ან სანქტპეტერბურგზე.

**— თქვენ სად გირჩევნიათ?**

— ჩვენთვის სულ ერთია, მთავარია, მოსკოვში არ ჩატარდეს.

**— „ზენიტი" — „სპარტაკის" შემდეგ პეტერბურგში თამაში, შესაძლოა, ყველაზე კარგი ვარიანტიც იყოს...**

— ვეჭვობთ, იქ გვათამაშონ, ალბათ უფრო თბილ ქალაქს ამჯობინებენ. თანაც, 1994 წელს სადირინი სწორედ რომანცევის ინიციატივით მოხსნეს რუსეთის ნაკრების მწვრთნელობიდან და მას შემდეგ მათ შორის მტრობაა. სადირინს უთქვამს, რუსეთის ჩემპიონატში მარტო იმიტომ ღირს



თამაში, „სპარტაკი" რომ დავამარცხოთო. თუმცა, ხომ ნახეთ, მსაჯებმა გაწირეს.

**— ახლა შენს კარიერაზე ვისაუბროთ. შევიტყვეთ, „ტრაბზონის" ხელმძღვანელობას სურს შელიას გადაბირებაო...**

— კი არის ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჯერ ვერ გეტყვით, „ტრაბზონში" წავალ თუ „ალანიაში" დავრჩები. დამთავრდება სეზონი და გადავწყვეტ, რომელი ვარიანტი ვარჩიო.

**— ისიც გავიგეთ, რომ გაზაფხულ თბილისში იყო ჩამოსული გოგიჩაიშვილისა და ჯამარაულის წასაყვანად. რა იცი ამის თაობაზე?**

— ზუსტად არაფერი, თუმცა ის კი გავიგე, რომ „ალანიაში" გოგიჩაიშვილითა და ცხადაძით არიან დაინტერესებულნი. წელს „ალანიამ" არაერთხელ ძალიან წაიფორთხილა, ამის მიზეზი კი მაღალი კლასის მოთამაშეების არყოლაა. მართალია, წელს, სულ მცირე, მეორე ადგილს მაინც დავიკავებთ, მაგრამ გაზაევს მხოლოდ ეს არ აკმაყოფილებს, მას ევროპული დონის გუნდის ჩამოყალიბება სურს. წელს კი აშკარად შარშანდელზე სუსტები ვიყავით. ზოგი მოთამაშე წაგვივიდა, ზოგიც დისკვალიფიცირებული და ტრავმირებულია და ამიტომაც გაგვიჭირდა. როგორი საქმეა, „ლადასთან" ძირითადის 9 მოთამაშე გვაკლდა... ამან ფსიქოლოგიურადაც გვავნო. ხა. მაგრამ ბოლო 4 ტურში მდგომარეობა გამოვასწორეთ. ისეთი კალენდარი იყო, ჩვენს კონკურენტებს ქულები უნდა დაეკარგათ. ასეც მოხდა და ჩვენც ჩემპიონატის შენარჩუნების შანსი გაგვიჩნდა. არადა, ცესკასთან წაგების შემდეგ მხოლოდ სამეულში მოხვედრაზე ვფიქრობდით. მაგრამ „სპარტაკმა" და „როტორმა" გაუთვალისწინებელი ქულებიც დაკარგეს, თუმცა, პეტერბურგში „სპარტაკს" მაინც მოაგებინეს.

**მერაბ მამულაშვილი**

# გოჩა ჯამარაული: ზოგჯერ გულმავიწყობაც მარგებელია

გოჩა ჯამარაულს, თბილისის „დინამოს" ლიდერს ლომის წილი უდევს საქართველოს ჩემპიონის წლევანდელ წარმატებასა თუ წარუმატებლობაში. გოჩასთან საუბარში წამყვანი თემა, რა თქმა უნდა, პორტუს მატჩი გახლდათ.

**— შენ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობ, ვითარება კი საერთაშორისო დონის შენარჩუნებას გთხოვს. როგორ ახერხებ ამას?**

— „ბოავიშტასთან" წარუმატებელი თამაშის ერთ-ერთი ფაქტორი ჩვენი ჩემპიონატია. წარმოიდგინეთ, „ბოავიშტამ" „პორტუსთან" და გიმარაეშის „ვიტორიასთან" ითამაშა იმ ორკვირიან შუალედში, განმეორებით თამაშამდე რომ იყო. ჩვენ კი „ივერიას" და „შევარდენს" შევხვდით. ამის მიუხედავად, ჩვენ უფრო პროფესიული მიდგომა გვაქვს და ყოველდღიური ვარჯიშითა და რეჟიმის დაცვით ვცდილობთ ამ ნაკლის დაფარვასა და დონის შენარჩუნებას.

**— შენ თვლი, რომ „ბოავიშტასთან" მარცხის მიზეზი ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონეა. ეს მხოლოდ შენი პირადი აზრია თუ მთელი გუნდი მივიდა ამ დასკვნამდე მარცხის მიზეზთა გარჩევისას?**

— მიზეზი სხვაც იყო — დროის ფაქტორი. პორტუგალიაში რომ ჩავედით, 5 საათი იყო განსხვავება და თბილისის დროით ღამის სამის ნახევარზე მოგვიწია თამაშმა. ამან ჩვენზე, გამოცდილებზეც კი იმოქმედა, ვერ ავეწყვეთ, ახალგაზრდები კი, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდებოდნენ. როგორია, კაცს სამის ნახევარზე რომ ააყენებ და ათამაშებ? გათიშულები ვიყავით, ნორმალურ ჩემპიონატში რომ ვთამაშობდეთ და პორტუშიც ნორმალურ დროს დაწყებულიყო შეხვედრა, „ბოავიშტა" ის გუნდი არ იყო, ჩვენთვის 5:0 მოეგო. სხვაგვარად, აქაც მოგვიგებდა.

**— იტალიასთან თამაშის წინ ტრავმირებული იყავი და პერუჯაში ვერ წახვედი. მოგვიანებით კი „დინამოს" ექიმმა ზაქრო თელიამ განაცხადა, მაგ ბიჭს სერიოზული არაფერი სჭირდება და თბილისში ტყუილად დატოვესო...**

— ფეხი მართლაც მტკიოდა. ადრე, 6 წლის წინ ზუსტად ასეთი ტრავმა ჰქონდა მალხაზ არზიანს. ვარჯიშობდა, მაგრამ სურათი რომ გადაუღეს, მოტეხილობა აღმოაჩნდა. მეც თვითონ წავედი და რენტგენის სურათი გადავიღე, რომელიც ნაკრების ექიმს დიმა ზაალიშვილს ვაჩვენე. მან მითხრა, ატკეჩილი გაქვს და საშიშიაო. იტალიაში წასვლა მაინც მოვითხოვე, მაგრამ ექიმმა არ მირჩია და მეც დავრჩი. დიმას შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ მაინც მივედი სხვა ექიმებთან და აღმოჩნდა, რომ საშიში არაფერი იყო. მაშინ 9 დღე იყო დარჩენილი „ბოავიშტასთან" მატჩამდე და ვარჯიშს ექიმთა ნებართვისთანავე შევუდექი.

**— ახლაც ხომ არ გაწუხებს ტრავმა?**

— არა, არაფერი.

**— ესე იგი, 9 ნოემბრის მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში ხარ?**

— განწყობა საბრძოლო მაქვს. 0:5 შემდეგ, ალბათ, ბევრს ჰგონია, მძიმე ფსიქოლოგიური ტვირთი გვაწევს, მაგრამ მე ეს მარცხი დავივიწყე და ახლა ინგლისთან მატჩისთვის ვემზადები. ასეთი მატჩი ჯერ არ ყოფილა ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში. ამას ისიც ემატება, რომ მეტად პრინციპული შეხვედრა გველის, რადგან ჩვენ უნდა მოვიგოთ, შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის რომ ვიბრძოლოთ. მგონია, რომ ყველა სერიოზულად ვართ განწყობილი და რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, არაფერს დავთმობთ.

**ვახტანგ ზზიძაძე**

5 ნოემბრს ეროვნული გუნდი მხოლოდ სამ ლეგიონერს ელოდა. გამოძახებული 20-დან 19 მოთამაშე უკვე ბაზაზე და თამაშისთვის ემზადება. ქინქლაძეს, ქეცბაიას და გოგრიჭიანს კი ცოტა შეაგვიანდათ, თუმცა საღამოს ამათგან გიორგი და გოჩა დანარჩენებს შეუერთდნენ, თემური კი ჯერაც არ ჩანდა. გოგრიჭიანთან გასაუბრება რომ დავაპირეთ, გოჩამ თავაზიანად მოგვიბოდიშა, თამაშამდე ლაპარაკი ცუდად მაქვს დაცდილი, არ გეწყინოთ, მერმისისთვის გადავდოთო.

## ჩემი ხუთი უკვე დაითვალა

ქინქლაძის მოხელთება და ინტერვიუს ართმევა ერთობ კი გაძნელდა, რადგან ბაზაზე ახლა სწორედაც რომ საჭირო სიმკაცრეა, უცხოთაგან ჩიტიც ვერ შეფრინდება, მაგრამ გიორგი ქინქლაძემ დრო გამონახა და ჩვენც მოვასწარით...

**— კოპელის მთავარ მწვრთნელად დანიშვნამ რამე თუ შეცვალა „სიტი"-ში?**

— ჯერჯერობით ყველაფერი ძველებურად მიდის, არაფერი შეცვლილა, მაგრამ რაღაც უკეთესობაც იგრძნობა.

**— მასთან როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდა?**

— საკმაოდ ნორმალური, ისეთი, მწვრთნელს და ფეხბურთელს შორის რომ უნდა არსებობდეს. კოპელი, ძველებურად, ჩემს ადგილზე მათამაშებს, თუმცა უკვე იცის, რომ გამჩერებელი არა ვარ.

**— ადრე ამბობდი, კიდევ ხუთი თამაში და სხვა გუნდში გადავდივარო, რით ვერ ამოიწურა ის ხუთი ტური?**

— უკვე ამოიწურა და ინგლისში ჩასვლისთანავე ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა.

**— მოდი, პერუჯა გავიხსენოთ. იტალიელებთან პირველ ტაიმში რაღაც შებორკილები ჩანდით...**

— იტალიაში გერმანია და მისი დარი ძლიერი გუნდები თამაშობენ რიდით და ჩვენც, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულები ვიყავით. მეორე ტაიმში იტალიელებმა გაგვაოცეს, გვეგონა, შეგვიტევდნენ, ისინი კი დაცვაში ჩასხდნენ. თუ პირველ ტაიმში უფრო დაცვაზე ვფიქრობდით და მეც ხშირად უკან მიწევდა მუშაობა, მერე ხელ-ფეხი გაგვეხსნა და შევუტიეთ, გოლის გასატანი მომენტიც შევქმენით, მაგრამ...

**— ინგლისზე რას გვეტყვი, ძალიან გაგვიჭირდება?**

— ჩვენ მათ ბოლომდე შევებრძოლებით. მთავარი ის არის, რომ ნაკრები, როგორც იქნა, უძლიერესი შემადგენლობით შეიკრიბა. ინგლისში ვთამაშობ და მათზე ბევრი რამ ვიცი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თუ დავამარცხეთ, რამდენი უცხოური კლუბი დაინტერესდება ჩვენი ფეხბურთელებით. აქედან გამომდინარე, დამატებითი სტიმულიც არსებობს. ვინც თავს გამოიჩენს, შემდგომი კარიერა თითქმის გარანტირებული აქვს, თანაც როგორი. ბიჭები თავს არ დაზოგავენ. ბოლოს კი ისაც გავიხსნოთ, რომ ქართულ ფეხბურთს ბრიტანულთან, კერძოდ ინგლისურთანაც ბრძოლა არ უჭირს, მოკლედ, ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ და ვეცდებით, ყველა გავახაროთ.

## გამარჯვება აუცილებელია!

შოთა არველაძე, აშკარაა, დღითიდღე იბრუნებს ჩვეულ ფორმას ოპერაციის შემდეგ. ნაკრების ხელმძღვანელობა მას ერთობ უფრთხილდება და უფრო ხშირად მხოლოდ ერთხელ ავარჯიშებს მთელი დატვირთვით. მეორე ვარჯიშისას თავდამსხმელი უქმად მაინც არ რჩება და ცალკე იტვირთება. შოთა მომავალ დიდ მატჩს იმედით ელოდება და სხვებსაც ამხნევებს...

— სრული მობილიზება და ყურადღება გვმართებს, არც ერთი წუთით არ შეიძლება მოდუნება. სწორედ ასეთი განწყობა სუფევს გუნდში. თუ შეკრულები ვიქნებით, მეტოქეს არაფერს დავუთმობთ.

**— თავს თუ გრძნობ ძველებურად?**

— არა მიშავს. ისეთი თამაში გველოდება, უკანდასახევი გზა არ მაქვს. 9-ში ყოველმხრივ მომზადებული უნდა გავიდე მინდორზე, მართალია, ფეხი ცოტა მაწუხებს ხოლმე, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება.

**— მოვუგებთ ინგლისს?**

— ჩვენთვის და მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის გამარჯვება აუცილებელია. სწორედ ამისთვის გამოვალთ მინდორზე, ბოლომდე, თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ და უნდა მოვიგოთ, თუმცა წინასწარ ვინ იტყვის, რა მოხდება. ინგლისელებიც მოსაგებად მოდიან, მაგრამ ვეცდებით, იმედი გავუცრუოთ.

## მოვიდეს მაკმანამანი!

ეროვნული ნაკრების პირველ ვარჯიშზე კახა გოგიჩაიშვილი რატომღაც გადაღლილი მეჩვენა. ნაკრების ექიმმა დიმა ზაალიშვილმა რაღაც ტაბლეტიც კი მისცა. კახას რომ გავესაუბრე, უძილობამ შემაწუხაო, მითხრა. ერიჰაა, გავიფიქრე, რაც „გოგიჩას" ვიცნობ, მისი უძილობა არ გამიგია, ის კი არა, უძილობას თუ უჩიოდა არ მეგონა. გუშინდელი ვარჯიშის მერე „გოგიჩას" პირველად ეს ვკითხე, თან გამოცოცხლებაც შევატყვე და მერე ეჭვიც აღარ შემპარვია, რომ ყველაფერი ისევ რიგზე იყო და ჩემს წინ ისევ ის მკვირცხლი ნახევარმცველი იდგა...

**— დღეს კარგად გამოიყურები, ეტყობა, დაწყნარდი და ჩინებულადაც გამოიძინე...**

— ყველაფერი კარგად არის, ფიზკულტურამ დაღლამ გამიარა და თავს ისევ კარგად ვგრძნობ. პორტუგალიაში წასვლა-წამოსვლამ დღე და ღამე ამირია. ძალიან დიდი იყო სხვაობა დროში და მგზავრობაც მომქანცველი გამოდგა.

**— პორტუგალიის გახსენება ყველას გვზარავს, შენ რაღამ მოგაგონა?**

— კარგი იყო, არ წაგვეგო, მაგრამ ვერ ვითამაშეთ საკადრისად და დავმარცხდით. თუმცა ახლა ამაზე ფიქრი და ზრუნვა არას გვარგებს. მთავარია, ამ მწარე გაკვეთილიდან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ და უფრო დიდი მატჩებისთვის მოვემზადოთ.

**— ჰოდა, ერთ-ერთი დიდი მატჩი 9 ნოემბრეს გელის. თანაც როგორი მატჩი — მაკმანამანთან მოგიწევს შეჭიდება...**

— მობრძანდეს, ნახოს, როგორი დახვედრა ვიცით ქართველებმა. გასეირნების იმედი ნუ ექნება, ვაჩვენებთ, როგორი ბურთაობა შეგვიძლია.

**— ესე იგი, ინგლისელების არ გეშინია?**

— არავითარ შიშს არ განვიცდი. პროგნოზს არ ვაკეთებ, მაგრამ მეტოქეს რომ არაფერს დავუთმობთ, ფაქტია, დანარჩენს მატჩი გვიჩვენებს.

## მოგება სენსაცია არ იქნება

ნუგზარ ლობჟანიძემ წელს რომ საგრძნობლად მოუმატა თამაშს, ეს საიდუმლო არავისთვის არის. „დინამო" თუ ნაკრები, წააგებს თუ მოიგებს, „სკილეტას" მაინც საუკეთესოებში ასახელებენ. მისი თქმით, პორტუგალიაში განცდილი მარცხი ნაკრების დინამოელებს უკვე დაუვიწყებიათ და მთლიანად ინგლისელებთანაც შეხვედრად არიან მობილიზებულნი.

— ჩვენი პროფესია ისეთია, უფლებაც არა გვაქვს წაგებას გადავყვეთ. გამარჯვებაც და მარცხიც ჩვენი კარიერის ნაწილია, ხან ერთი იქნება, ხან მეორე, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. დავმარცხდით და, რა გვეთქმის ან რაღას ვიზამთ. ასეთ შემთხვევაში მე ჩემს შეცდომებს ვეძებ, მერე რომ აღარ შემეშალოს. ინგლისელებთან სათამაშოდ ყველა სერიოზულად ვემზადებით. ღვთის წყალობით, იმედია, სასურველ შედეგსაც მივაღწევთ.

**— შენი აზრით, რეალურად შესაძლებელია ინგლისთან მოგება?**

— სრულ და ასპროცენტიან გარანტიას ვიძლევით-მეთქი, ამის თქმა როგორ შეიძლება, მაგრამ სულაც არ მგონია არარეალური მათი დამარცხება. ჯგუფში იტალია მიმაჩნია ყველაზე ძლიერად და ხომ ვნახეთ მასთან, რისი უნარი და შესაძლებლობა გაგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, ინგლისთან გამარჯვებას სენსაციად არ მივიჩნევთ. მაგრამ საამისოდ დიდი ბრძოლა დაგვჭირდება.

## ნაკრებში სხვა სიტუაციაა

გელა ინალიშვილი, ერთდროს „დინამოსა" და ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი რომ იყო, ახლა თბილისის „დინამოს" ძირითადში ვერ ხვდება. მიუხედავად იმისა, რომ გელას არც ნაკრების ძირითადში აქვს ადგილი დაჯავშნული, ფაქტია, ჩივაძე ყიფიანზე მეტად წყალობს.

— ძალიან მნიშვნელოვანი თამაშია. გერმანიას და ბულგარეთს კი ვეთამაშეთ, მაგრამ ინგლისის ნაკრებთან მატჩს მაინც მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვისაც და გულშემატკივრებისთვისაც.

**— კლუბში სრული დატვირთვით რომ ვერ თამაშობ, ნაკრებში კი მეტნაკლებად გიწევს თამაში, არ გიჭირს პრაქტიკის უქონლობის გამო?**

— ფსიქოლოგიურად თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ პირადად ჩემთვის ნაკრებში უკეთესი სიტუაციაა. „დინამოში" ბიჭებთან ურთიერთობაში და გუნდში არანაირი პრობლემა არ მაქვს, მაგრამ ვიმეორებ, ჩემთვის „დინამოში" გარკვეული ფსიქოლოგიური პრობლემა არსებობს. ნაკრებში კი სულ სხვა სიტუაციაა და ეს სტრესი მეხსნება. არავინ გამიგოს ისე, თითქოს ნაკრებს და „დინამოს" ვადარებდე. უბრალოდ, ეს ჩემთვისაა ასე.

**— ხმა დაირხა, ქუთაისში „ტორპედოს" გაძლიერებას რომ აპირებენ, დიდავასა და ინალიშვილის მიწვევაც სურთო...**

— ჩემამდე ასეთი ხმა არ მოსულა, მაგრამ გამორიცხულია, რომ საქართველოში „დინამოს" გარდა სხვაგან ვითამაშო. რა თქმა უნდა, ამაზე კლუბებმა უნდა მოილაპარაკონ, მაგრამ მე სად წავალ და სად ვითამაშებ, პირადად ჩემი გადასაწყვეტია. კონტრაქტი 2 თვეში მიმთავრდება და ვნახოთ, მაგრამ ერთი რამ ვიცი, საქართველოში „დინამოს" გარდა სხვაგან არ ვითამაშებ და ესაც არა მგონია.



## „კამაზი" დარჩა, მიშა?

ქართველ ლეგიონერთაგან ყველაზე ადრე, 1 ნოემბერს მიშა ჯიშკარიანი ჩამოვიდა. საკვირველი კი იყო მისი გამოჩენა, რაკილა 3 ნოემბერს მისი „კამაზი" რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში როსტოვში ხვდებოდა „როსტსელმაშს" და წარმატების შემთხვევაში ლიგაში დარჩენას ინაღდებდა, ამ საქმეში ჩელნელთა კონკურენტი ეკატერინბურგის „ურალმაში", ასევე გასვლაზე ხვდებოდა „როტორს". „ურალმაშმა" წააგო, „კამაზმა" — მოიგო, შეინარჩუნა ლიგაში ადგილი და შესაძლოა ჯიშკარიანიც, რაკილა მიშამ მითხრა, „კამაზი" რომ გავარდეს, ოქროს მთებიც რომ დამიდგან იქ დამრჩენი არა ვარო...

**— მიშა, სანამ მომავლის გეგმებზე გკითხავდე, ეს მითხარი, რატომ არ გაემგზავრე როსტოვში?**

— ბოლოსწინა ტურის მატჩში მოსკოვის „ტორპედოსთან" ყვითელი ბარათი მივიღე, როსტოვში მაყურებლად წასვლას რაღა აზრი ჰქონდა.

**— ეს შენი მერამდენე ყვითელი იყო წლეულს?**

— მეექვსე თუ მეშვიდე, მაგრამ ყველა ბრძოლაში მაქვს მიღებული. ადრეც გითხარი, „კამაზი" სუსტი გუნდია და მარტო ფორვარდის მოვალეობის შესრულება არ მევალება-მეთქი. ხან „პადკატისთვის" მაძლევენ, ხანაც უხეშობისთვის...

**— „კამაზი" დარჩა უმაღლეს ლიგაში, შენ თუ რჩები „კამაზში"?**

— ნაკრების თამაშის შემდეგ ჩელნიში უნდა ჩავიდე, კონტრაქტი უკვე დამითავრდა და რაღაც-რაღაცა საქმეები მაქვს მოსაგვარებელი. კლუბის ხელმძღვანელობასაც უნდა შევხვდე და საბოლოოდ მოვილაპარაკოთ, დავრჩები თუ არა „კამაზში" კიდევ ერთ სეზონს.



**— ვთქვათ, „კამაზის" ხელმძღვანელობამ კარგი პირობები შემოგთავაზა, მაშინ?**

— ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, დავრჩე, მაგრამ არა მგონია ასე მოხდეს, რადგან „კამაზის" ქარხანას ცუდი დღეები უდგას, არ მუშაობს და ყველა სიკეთესთან ერთად, საგადასახადო ინსპექციაც ჩაუჯდა. ისე, თუ დავრჩები, ერთ რამეშიც უნდა ვიყო დარწმუნებული: გუნდი მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს. მომბეზრდა ლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა და ამგვარი რამეები.

**— რუსეთის რომელიმე კლუბს ხომ არ მოუმართავს?**

— სეზონი ეს-ესაა დამთავრდა, ერთ-ორ დღეში ნაკრებთა შესარჩევი თამაშებია. ამის მერე დაფაცურდება ყველა და ახალი სეზონისთვის ფეხბურთელთა ძებნას დაიწყებს. ალბათ მეც მაშინ შემეხმიანებიან.

**— როგორც გავიგე, ზუგდიდის „ოდიშს" სურდა შენი გადმობირება. რას უპასუხებ, ზუგდიდელები რომ შემოგეხმიანონ?**

— არა მგონია, მივიდო. ახლა საქართველოს ჩემპიონატში არ არის ის დონე, კლასი რომ აიმაღლო. ზუგდიდში თამაშს არ ვაპირებ, იყვნენ იმ გუნდის წარმომადგენლები და უარი ვუთხარი.

**— შენს ძველ კლუბს, კიევის „დინამოს" ხომ არ გახსენებიხარ?**

— არა, კიევში თამაში დავამთავრე, არც გუნდი იყო საჩემო და არც მე — საიმისო.

**— ინგლისურ გუნდებთან თუ გითამაშია ოდესმე?**

— კიევში ყოფნისას გერმანიაში ვიყავი შეკრებაზე და იქ რამდენჯერმე ვეთამაშეთ ინგლისის გუნდებს, მაგრამ მეორელიგელები იყვნენ და დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება დატოვეს.

**— ინგლისის ნაკრებთან მატჩზე რას ფიქრობ?**

— ფედერაციის ფაქსი რომ მივიღე ძალიან გამიხარდა, რადგან იტალიელებთან მინდორზე არ გამოვსულვარ და კვლავ მომეცა ნაკრებში თამაშის შანსი. თავად მატჩზე რა უნდა გითხრა, თუ გამომიყვანეს, თავს არ დავზოგავ, ეს ხომ ჩემთვის ნაკრებში დამკვიდრების შანსია, შანსი კი უნდა გამოიყენო...

## „ბათუმი" რუსებს ემუქრება

ნიკა ტოგონიძეს ყველა კოლორიტულ ფიგურად იცნობს. მის ხუმრობებს ბოლო არ უჩანს. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ნაკრების და „ბათუმის" გოლკიპერი ჩინებული მოშაირეა, ადვილი მისახვედრი გახდება, რატომ ერიდება ყველა მეგობარი მის ყბაში ჩავარდნას. ნიკას ბაზაზე ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ, ცხადია, პირველად ჰოლანდიური შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.

— „ეინდჰოვენი" ჩვენზე ერთი თავით ძლიერია და აკი სამართლიანადაც გამოგვეთიშა გათამაშებიდან. ბათუმში მოგების მცირე შანსი კი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და იქ რაღას ვიზამდით. ჰოლანდიელებთან შეხვედრა მაინც სასარგებლო იყო — ახალი ქვეყანა ვიხილეთ, ბევრი სიახლეც ვნახეთ და ყოველივე ეს მომავალშიც უეჭველად გამოგვადგება.

**— თუ ერთ-ერთ რუსულ სპორტულ გამოცემის ვერწმუნებით, შენს გუნდს და ჩვენთვის უცნობ სამ ფეხბურთელს ტიტების ქვეყანაში დიდი უსიამოვნებები შეხვედრია. რამდენად მართალია ეს?**

— მსგავსი რამ რომ მომხდარიყო, აუცილებლად შევიტყობდი, მაგრამ, მერწმუნეთ, პირველად ეს მხოლოდ თქვენი გაზეთის მეშვეობით შევიტყვე. ეს ცილისწამებაა და ჩვენი ხელმძღვანელობა ამ ფაქტის ასე დატოვებას სულაც არ აპირებს. იმ რუსულ გამოცემას დიდი უსიამოვნებები ელის.

**— ნაკრებში დებიუტანტად აღარ ითვლები. როგორ ფიქრობ — ხარ ფორმაში, თუ ინგლისელებისა გეშინია?**

— შიშითა და რიდით რომელიმე გუნდის წინააღმდეგ სათამაშოდ არასოდეს გამოვსულვარ. ნაკრების მაისური რომ გაცვია, უდიდეს პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდე — საკუთარ თავს უნდა სძლიო და შეუძლებელი შეძლო. მოვიდეს ეს ინგლისი ვნახოთ, რა ბიჭებიც არიან. პირადად მე თავს კარგად ვგრძნობ და ამას მარტო ჩემზე არ ვამბობ — ყველას აღმაფრენას ვატყობ. 9 ნოემბერი ჩვენი დღე უნდა გახდეს.

**— თამამად საუბრობ. რაო, ვამარცხებთ ინგლისს?**

— პროგნოზი დღევანდლამდე არასოდეს გამიკეთებია, მაგრამ, დამიჯერეთ, ისეთი წინათგრძნობა მაქვს უნდა მოვიგოთ.

**— ღმერთმა გისმინოს, მაგრამ რა გაძლევს ამის თქმის საფუძველს?**

— ყველაფერი — გუნდის დამოკიდებულება საქმისადმი და სრული მობილიზება. დროა, ჩვენც გადავდგათ პირველი ნაბიჯები დიდი გამარჯვებებისაკენ.

## „ხრუბეშა": მზად ვარ!

გიორგი ლუდუშაური, იგივე „ხრუბეშ" ყველას ნაკრების თამაშებიდან დაგვამახსოვრდა. მაგრამ ჩამთავრდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, ნაკრებმა მსოფლიოს შესარჩევისთვის დაიწყო მზადება, გიორგი კი ეროვნული გუნდის რიგებში აღარ ჩანდა. საინგლისო შეკრებაზე ნაკრების ხელმძღვანელობამ ლუდუშაური ისევ გამოიძახა...

— სანაკრებოდ მუდამ მზად ვიყავი, არაფერს არ ვუჩიოდი და ჩვეულ ფორმასაც ვინარჩუნებდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობას ასე მიაჩნდა საჭიროდ.

**— „ზილმრორის" მდგომარეობაზე გერმანიის რეგიონალურ ლიგაში რას იტყვი? მეორე ბუნდესლიგაში გადმოსვლის შანსები თუ გაქვთ?**

— ძალზე მცირე. სეზონი უხეიროდ დავიწყეთ და ბევრიც დავკარგეთ. მართალია, მერე ამოვქაჩეთ და ბოლო მატჩებიცრ მოვიგეთ, მაგრამ ეს ალბათ საქმეს ვეღარ უშველის.

**— კარგ პირობებში ვარჯიში და თამაში რომელ ჩვენებურს არ ენატრება, მაგრამ არც ის ივარგებს, კარიერის ბოლომდე რეგიონალურ ლიგას მიეჯაჭვო. „მაღლა ასვლას" არ აპირებ?**

— ვაპირებ და შემომთავაზეს კიდეც, მაგრამ საქმე ისაა, რომ კონტრაქტი მხოლოდ მომავალი წლის ივნისში მიმთავრდება. მანამდე სხვაგან წასვლაზე საუბარი ზედმეტია. კონტრაქტს ვადა გაუვა თუ არა, სერიოზულად მივხედავ საქმეს.

**— ინგლისელებთან თამაშზე რას გვეტყვი?**

— საერთოდ, ქართველებს ბრიტანელების წინააღმდეგ არასოდეს გვიჭირდა თამაში. მართალია, ძნელი და პრინციპული მატჩი გველის, მაგრამ, რატომღაც მგონია რომ ახლაც ასე იქნება. ერთი რამ ნამდვილად ვიცი — ჩვენ თავს არ დავზოგავთ, დანარჩენი კი ვნახოთ...



მამუკა კვანტალიანი,
ზურაბ [illegible],
მამუკა კვარაცხელია,
[illegible]
ბადრი კეთილაძე (ფოტო)
დილმის ბაზიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეროვნული ნაკრები 3:0 დინამო

**ნაკრები:** ზოიძე, ლობჟანიძე, შელია, ცხადაძე, კობიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული, ჯიშკარიანი (შ. არველაძე), ქინქლაძე, გოგრიჭიანი

**დინამო:** ტოგონიძე, ჩხაიძე, ზ. ჭელიძე, ცქიტიშვილი, რევიშვილი, ლუდუშაური, ინალიშვილი, ქებაძე, გ. ჭელიძე (ზამთარაძე), ხორგუაშვილი (ხომერიკი), დემეტრაძე

1:0 გოგრიჭიანი (35), 2:0 გოგრიჭიანი (39), 3:0 ჯიშკარიანი (45)

საინგლისო სამზადისში მყოფ ეროვნულ ნაკრებს გუშინ სალამოს ბაზაზე არ უვარჯიშია. ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ეროვნულ სტადიონზე საკონტროლო თამაში გაემართა. სპარინგ-პარტნიორი, ცხადია, „დინამო" იქნებოდა. დინამოელთა შემადგენლობაში ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების წევრებიც იყვნენ. ორი 30-წუთიანი ტაიმი მეტად საინტერესო და სასიამოვნო სანახავი გახლდათ. ორივე ნახევარში უპირატესობა ნაკრებისა იყო, მაგრამ გოლები მხოლოდ მეორე ტაიმში გავიდა. პირველ ნახევარში ტოგონიძემ შეძლო კარის მშრალად შენახვა, მან არაერთი ძნელი ბურთი მოიგერია, მეორის ბოლოსკენ კი სამუშაო ზოიძესაც გამოუჩნდა და აკრობატული ნახტომები მასაც დასჭირდა. ნაკრების წევრებს უკვე ეტყობათ, რომ მგზავრობისა და გადაღლილობისგან თავისუფლდებიან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენები 9 ნოემბრისთვის სრულ საბრძოლო ფორმაში, ყოველმხრივ შემართულები გამოვლენ მინდორზე. მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როცა ქინქლაძემ უზუსტესი პასით ბურთი თავზე დაასვა გოგრიჭიანს, გოჩამაც ტოგონიძე უშანსოდ დატოვა. ჟემჩუჟინელს ეტყობა, კარგ ფორმაში რომ არის. არა იმიტომ, რომ ორი გოლი გაიტანა და მესამეც, ფაქტიურად, მან შექმნა, უბრალოდ, გოჩამ ერთი საათი გაუჩერებლად იმოძრავა, ყველგან იყო — მარჯვნივ, მარცხნივ, ცენტრში. ლამაზად და შედეგიანად გაისარჯნენ ნემსაძე, ჯამარაული, ქინქლაძე, გოგიჩაიშვილი, საიმედო იყო დაცვის ხაზი, მაგრამ ერთი რამაც არ დაგვავიწყდეს: ორივე მხარეს შინაურები იყვნენ, ამიტომ, მთავარია, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი 9 ნოემბერს ვიხილოთ. არ უთამაშია კუდინოვს, რომელიც ტრიბუნაზე იჯდა. მიზეზი ისევ მარჯვენა მუხლის ტკივილი გახლდათ. ეს ის ტრავმაა, რომელიც დიმამ „ტორპედოსთან" თბილისში თამაშისას მიიღო და დროდადრო თავს შეახსენებს ხოლმე. მხოლოდ ბოლო ათი წუთი ითამაშა შოთა არველაძემ, დანარჩენი დრო მინდვრის გარშემო სირბილს დაუთმო. ეტყობა, მწვრთნელები რაიმე გაუთვალისწინებელს ერიდებიან. შოთამ 5 ნოემბერს ვარჯიშებზეც ექიმებს ყინული მოსთხოვა. თავად ეს გვითხრა, ნაოპერაციები უკვე აღარ მაწუხებს, შემიძლია, მთელი ძალით ვითამაშოო. იგივეს ადასტურებს ნაკრების ექიმიც. მოკლედ, მთავარია, შოთა ჯანმრთელადაა და თამაშისთვის ემზადება.



გოჩა გოგრიჭიანი

პირველი გოლის გატანიდან რამდენიმე წუთში გოგრიჭიანმა მეორეც შეაგდო. ქინქლაძემ კარგ პოზიციაში მყოფ ცხადაძეს გაუგორა, კახამ დაუხანებლად კარში დაარტყა, ბურთი მცველის ფეხიდან ასხლტა და გოჩას მიუვიდა, ამის დარტყმულს კი სამი მეკარეც ვერ აიღებდა. მალევე გოგრიჭიანმა ისევ მოიგდო ბურთი, მცველებთან ჭიდილში წინ გაიჭრა და კარში დაარტყა, ტოგონიძემ ბურთი კი მოიგერია, მაგრამ ჯიშკარიანის დამატებულს ველარა მოუხერხა. ამის მერე ნაკრების კარში გატანა შეეძლოთ ხომერიკს, ლუდუშაურს, დემეტრაძეს, მაგრამ ზოიძემ გამოიდო თავი. საბოლოოდ, ნაკრებმა 3:0 მოიგო და დიდი მატჩის წინ მშვენიერი განწყობაც შეიქმნა. ერთსაც დავძენდით: ამ საწვრთნელ მატჩში ნაკრებმა ორი თავდამსხმელი გამოიყვანა და წინა ხაზიც სოლიდურად გამოიყურებოდა. რისი უნდა შეგვეშინდეს, იყოს ორი და ინგლისელებს ხისხლი გაუშროთ.

**მამუკა კვანტალიანი**

# გუცაევი: თუ კაცურად ვიბრძოლებთ, ინგლისს მოვუგებთ!



იტალიელებთან წაგება რა დღეში ჩააგდებდა ვლადიმერ გუცაევს, ამას რა დიდი მიხვედრა სჭირდება, თუმცა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი თვლის, რომ ეს მარცხი მისი შეცდომების ბრალი არ ყოფილა.

— ასე თუ ისე, ნორმალურად ვმუშაობთ, მაგრამ ხშირი შეკრებების მოწყობის საშუალება არ გაგვაჩნია, ისევე, როგორც ამხანაგური შეხვედრებისა. არადა, ასეთი შეხვედრები ჩვენთვის იგივეა, რაც, ვთქვათ, ქიმიკოსისათვის ლაბორატორია, რის გაკეთება ან ვისი მიწვევა გვილირს. საამისო საშუალება კი, ვთქვი და ეს ყველამ ისედაც იცის, არ გაგვაჩნია, ჰოდა, გაუთავებელი ექსპერიმენტების ჩატარებაც მიხდება. თანაც, საქართველოში მოთამაშეთა მეტ წილს საერთაშორისო სტანდარტებამდე ბევრი უკლია — ტაქტიკაში, ტექნიკაში, ფიზიკაში, სისწრაფეში საკმაო ხარვეზები აქვთ. ამიტომაც არ უნდა გაუკვირდეს ვინმეს, თუ ინგლისთან „იტალიური შემადგენლობისგან" რადიკალურად განსხვავებულ გუნდს გამოვიყვანთ. ახლა ძიებაში ვართ, ფაქტობრივად, რეზერვებიც ამოვწურეთ, გერმანიიდან საჯაია და იაგორაშვილი მოვიწვიეთ. მათ მწვრთნელებიც და პრესაც კარგად ახასიათებენ. ამათ გარდა ვუხმეთ ბოლო დროს კარგად ათამაშებულ ზუგდიდელებს ვლადიმერ გაბედავას და ვალტერ გუდუას. მოკლედ, ვიმეორებ, ვეძებთ, რადგან უკმაყოფილო ვარ იმ ფეხბურთელებით, ვინც იტალიაში ითამაშა. კარგია, რომ ეროვნული ნაკრებიდან დაგვიბრუნდა ცქიტიშვილი, სჯობს, ახალგაზრდულში ითამაშოს და რალაც შეიძინოს, ვიდრე პირველი ნაკრების სკამზე იჯდეს.

**— არეცოში სასტიკად დამარცხებას, რა თქმა უნდა, ობიექტური მიზეზებიც აქვს, თუმცა, არც ამის უთქმელობა იქნება, რომ ამ მიზეზებს ჩვენების ყოვლად უნიათო, უჟიგრო თამაშიც დაერთო...**

— ამჟამინდელი შეკრების პირველივე დღეს, 4 ნოემბერს ეს თამაში გავარჩიეთ და მოთამაშეებმა თავად იხილეს, რას აკეთებდნენ მინდორზე. დღეს უბრძოლველად ვერავინ მოიგებს, თუ თავს ძალა არ დაატანე, კვლავაც ისეთი დაჩაგრულნი და უსუსურნი ვიქნებით, როგორნიც ჩვენ ვიყავით იტალიაში და დინამოელები პორტუგალიაში. პასიური თამაშით, შესაძლოა, მინიმალური ანგარიშით დამარცხდე, მაგრამ აუცილებლად დამარცხდები. აი, ეს არის მთავარი. მოგება კი მხოლოდ ბრძოლას მოაქვს. ამის გამო იყო, ნაკრების რამდენიმე წევრი რომ აღარ მოვიწვიე და კარგა ხანს არც მოვიწვევ.

**— რა კეთდება საიმისოდ, რომ მოთამაშეები ფსიქოლოგიურად ისეთი დაძაბუნებულნი აღარ იყვნენ, როგორნიც არეცოს მატჩში ვიხილეთ?**

— საამისოდ მშვენიერი საშუალება გუნდში კონკურენციის შექმნაა. ვინც არ იბრძვის, მოედანზე არაფერს აკეთებს, ნაკრებს არ უნდა გააკარო. თამაშის განაცხადში 16 მოთამაშე ხომ უნდა შევიყვანო, მივიწვევ 20 კაცს და ერთმანეთში დაამტკიცონ, ვინ ვის სჯობს. ერთიც არის, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი — ფეხბურთელებს აქ, ახლა და მე არ უნდა ვასწავლიდე ქვეყნის სიყვარულს და ხალხის პატივისცემას, რომელმაც ბევრი რამ უნდა შეგაძლებინოს. თუ მოთამაშეს იტალიელისა თუ ინგლისელის ეშინია, მისგან არაფერი გამოვა.

**— ინგლისელებთან წარმატების იმედი თუ გაქვთ?**

— ბიჭებმა თუ მოინდომეს და კაცურად იბრძოლეს, ინგლისს მოვუგებთ! დიახ, ასე დაწერეთ. თუ თავს არ დაზოგავენ, გასაღებს ბოლომდე გაიღებენ, აუცილებლად გაიმარჯვებენ. იმასაც გეტყვით, რომ ინგლისს კარგი ახალგაზრდული ნაკრები, ძლიერი პროფესიონალები ჰყავს და მშვენიერ ფეხბურთსაც თამაშობენ. მაგრამ, ვფიქრობ, უნდა მოვუგოთ.



გერმანიის რეგიონალური ლიგის „აუსბურგში" მოთამაშე ვახტანგ იაგორაშვილზე კარგა ხანია აღარაფერი გვსმენოდა. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ მასგან და მის თანაგუნდელ მიხეილ საჯაიასაც პრესა აქებდა. ეს „ინფორმაციული ვაკუუმი" მასთან საუბარმა მცირედით მაინც შეგვივსო.

— „აუსბურგში" საჯაიაზე გვიან მივედი, მას შემდეგ ექვსი თვე გავიდა, მიშა კი ერთი წელია, იქ თამაშობს. „მრეტების" პრეზიდენტმა ვაჟა ჩხაიძემ მე და ბესიკ შენგელია წაგვიყვანა გასასინჯად და იქ დავრჩით.

**— საქართველოდან წასულისთვის გერმანიაში, თუნდაც რეგიონალლიგაში თამაში, პირობების თვალსაზრისით, იცოცხლე, კარგი საქმეა, მაგრამ ფეხბურთელის იქ გაჩერება ზრდის შეჩერების ტოლფასია...**

— რეგიონალლიგაში სწორედ იმიტომ ვთამაშობთ, რომ უფრო ძლიერ გუნდში მოვხვდეთ. ის ლიგა, გვინდა, ტრამპლინად გამოვიყენოთ, ფიზიკური კონდიციები გავიუმჯობესოთ და, თუ რამის შნო გვაქვს, სხვებიც დაინახავენ და ნორმალურ გუნდში დაგვიძახებენ. საერთოდ, ბუნდესლიგის და რეგიონალური ლიგის კლუბების მოთამაშეები ფიზიკური მომზადების მხრივ დიდად არ განირჩევიან, განსხვავება უმთავრესად კლასშია. ჩვენ, ქართველებს კი ფიზიკური მომზადება გვაკლია და სწორედ ამაზე ვმუშაობთ.

**— თქვენც და საჯაიასაც იქაური ჟურნალისტები გაქებენ. საინტერესოა, სხვა კლუბებიდან ხომ არ შეგხმიანებიათ?**

— კონკრეტული ჯერ არაფერია, მაგრამ ამ სეზონის შემდეგ „აუსბურგში" აღარ გავჩერდებით.

ლევან სილაგაძე გუცაევმა ნაკრების შეკრებაზე მეორედ გამოიძახა. პირველად ბათუმში უკრაინელებთან თამაშის წინ მოხმობილ 24-კაციან სიაში იყო, მაგრამ 16-კაციან განაცხადში ვერ მოხვდა. მას შემდეგ ლევანის სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ის იყო, რომ „გორდადან" რიგის „სკონტოში" გადავიდა.

— „სკონტო" წელსაც ლატვიის ჩემპიონი გახდა და გაისად ჩემპიონთა თასზე თამაშის საშუალებაც გვექნება.

**— რიგაში რეზო ძოძუაშვილიც იყო ჩამოსული. ჩვენში იმასაც ამბობდნენ, თითქოს „სკონტოს" მთავარ მწვრთნელად ნიშნავენო...**

— ძოძუაშვილი მართლაც იყო რიგაში, მაგრამ, ვერ გეტყვით, დარჩება თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, თუმცა, არის ასეთი ლაპარაკი.

**— ძირითადში თუ დგმკვიდრდი?**

— მეც, ჩალაძეც და რეხვიაშვილიც სტაბილურად ძირითადში ვთამაშობთ. როგორი ქალაქია რიგა, მოგეხსენებათ, პირობებიც ნორმალური გვაქვს, ასე რომ, რუსთავისგან განსხვავებით, ზრდის საშუალება გვაქვს. გუნდსაც კარგად შევეწყვეთ და დათომაც და ალეკომაც უკვე გოლებიც გაიტანეს. ქართველ ფეხბურთელებს ლატვიელები სიმპათიით გვიყურებენ, სულ იმას გვეუბნებიან, თქვენნაირები „სკონტოს" სჭირდებაო. ჩვენი ახლანდელი მწვრთნელი „დაუგავას" ყოფილი კაპიტანი ალექსანდრე სტარკოვია. მალე იტალიაში გავემგზავრებით



შეკრებაზე, მერეც გეგმავენ შეკრებებს. მოკლედ, ლატვიაში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ ნორმალურად ვითამაშოთ. თანაც იქ ბევრი უცხოელი სელექციონერია და თუ თავს გამოიჩენ, უფრო ძლიერ საფეხბურთო ქვეყანაში გადასვლის შანსიც გამოჩნდება. ლატვიაში სწორედ ამ იმედით მივდიოდით.

**— ლატვიური ფეხბურთი არასოდეს გამოირჩეოდა მაღალი დონით. ახლა როგორი ვითარებაა?**

— ჩვენთან შედარებით მათი ჩემპიონატი უკეთესია, რადგან გუნდების უმრავლესობას უკეთესი პირობები აქვს. ამით საქართველოს უკვე ბევრმა ქვეყანამ გაუსწრო. მართალია, ჩვენზე ნიჭიერი მოთამაშეები არა ჰყავთ, მაგრამ ვინც ჰყავთ, კარგ პირობებში ვარჯიშობენ, ოსტატობას ხვეწენ და საერთო დონეც უმჯობესი აქვთ.

იტალიელებთან თამაშის წინ შეკრებაზე ჩამოსული მიხეილ ფოცხვერია ამბობდა, საქართველოს ნაკრებში თამაშის გამო „შახტიორის" მწვრთნელები ძირითადში აღარ მაყენებენო. ახლა ვითარება შეცვლილა...

— არეცოს შემდეგ უკრაინის ჩემპიონატში ერთის გარდა ყველა მატჩში მათამაშეს. იმ ერთშიც, უბრალოდ, დამაგვიანდა და შემადგენლობაში იმიტომ ვერ მოვხვდი. მოკლედ, სათამაშო პრაქტიკის უკმარობას აღარ ვუჩივი.

— ბოლო წლებში ქუთაისის „ტორპედოს" სიდუხჭირემ მიხეილ აშვეთიაც გვარიანად გასარჯა და გააწვალა კიდეც — სად აღარ წაიყვანეს ბედის საძიებლად ანუ გასაყიდად. თუმცა, „სიგმა-ბანკის" წყალობით „ტორპედოში" ვითარება შეიცვალა.

— ნოემბრის ხელფასები წინასწარ უკვე დაგვირიგესო...

**— ძველი გასაჭირის ჟამს, მახსოვს, მითხარი, შესაძლოა, „დინამოში" გადავიდეო...**

— ჯერ ვერაფერს გეტყვით. პირველი წრე დასრულდეს და მერე გადავწყვეტ, დავრჩები თუ არა „ტორპედოში". თუ კარგი პირობები იქნება, შესაძლოა, დავრჩე. ახლა ქუთაისში ძლიერი გუნდის შექმნა სურთ, ლაპარაკია იონანიძის, დათო ჯანაშიასა და რუსეთში გადახვეწილ სხვა ყოფილი ტორპედოელების მოწვევაზე, თუ ასე მოხდა, ალბათ, დავრჩები.

**— ინგლისელებთან მოგების იმედი თუ გაქვთ?**

— 10 თამაშია, ჩვენს ახალგაზრდულს არ გაუმარჯვია და დროა, შევცვალოთ ეს „ტრადიცია". ახლა შევეცდებით ვაჩვენოთ ის, რაც შეგვიძლია.

**— არეცოში თამაშამდეც ამას ამბობდით...**

— იქ თავიდანვე ძალიან ცუდად წაგვივიდა საქმე.

**— არც ინგლისელები დაელოდებიან, როდის გამოიღებენ ხელს ქართველები...**

— ახლა სახლში ვთამაშობთ და სხვა ვითარება იქნება. მაინც იმედი გვაქვს...

გორელ გურამ ლომიძის „დილას" ბოლო ხანს საქმეები აერია. საწყის ტურებში ლიდერს მერე ჩვეულმა უფულობამ დარია ხელი. ნაკრების კანდიდატის მზადყოფნასა და თამაშამდელ განწყობაზე ამ ამბავს, ბუნებრივია, კარგად არ იმოქმედებდა, მაგრამ...

— ფორმიდან რომ არ ამოვვარდე, გუნდთანაც ვვარჯიშობ და ინდივიდუალურადაც. მართალია, „დილას" ვერა აქვს კარგად საქმე, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვაკეთებ...

დავით ასლანაძე დებიუტი არეცოში შედგა. დათო მანამდეც მიუწვევიათ ახალგაზრდულ ნაკრებში, მაგრამ თამაშის საშუალება პირველად მიეცა. იხიც გახარებული ჩანდა, უნდოდა თავი გამოეჩინა, მაგრამ... ვინც იმ ავადსახსენებელ თამაშს უყურა, ერთხმად დამემოწმება, რომ არეცოს კატასტროფაში დათოს ოდნავი ბრალიც კი არ მიუძღოდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ცრემლებით სავსე თვალები მეექვსე გაშვებული გოლის შემდეგ. ჩვენც არეცოთი დავიწყეთ...

**— დათო, შენ მაშინ ტიროდი...**

— ტირილი კი არა, როგორ არ გავგიჟდი, ძალიან მიკვირს. თითქოს კარგად დავიწყეთ, 6:0 წასავებიც არა გვჭირდა რა, მაგრამ პირველმა გოლმა გაგვტეხა. თითქოს ხელ-ფეხი შეგვებორკა. 2:0 რომ წაგვეგო, კიდევ არაფერი, ექვსი რა ამბავი იყო. არეცოს კოშმარიდან კარგა ხანს ვერ გამოვედი, მტანჯავდა იმის გაფიქრება, რომ ამდენი ბურთი გავუშვი, მაგრამ მაშინ თავს ზემოთ ძალა არ იყო. მერე ყველაფერი თანდათან დავიწყებას მიეცა. ასეც უნდა მოხდეს — წინ ახალი და საპასუხისმგებლო თამაშებია. სხვა თუ არაფერი, გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია გვმართებს.

**— ექვსიდან სამი პენალტიდან გაგიშვი, თუმცა სამივე დარტყმის მიმართულება გამოიცანი...**

— მერე და რა ხეირი. ორჯერ ბურთს თითებითაც კი შევეხე, მაგრამ დარტყმები მეტად ძლიერი და ზუსტი გამოდგა.

**— გაშვებულებიდან რომელიმეს თუ დაიბრალებ?**

— მეხუთე აშკარად ჩემს სინდისზეა. უნდა ამელო. მეკარემ ასეთი არ უნდა გაუშვას, მაგრამ ვერ შევძელი. თავს სულაც არ ვიმართლებ, მაგრამ იმ მომენტისთვის მთელი გუნდი თავზარდაცემული და დამბლადაცემული ჩანდა — სხვანაირად შედარებას ვერ მოვიყვან.

**— რაიმე თუ გასწავლა იტალიელ თანატოლებთან შეხვედრამ?**

— ვნახე, რა მაღალ დონეზე თამაშობდნენ ჩვენი კბილა ბიჭები. მათი გუნდი „მილანის", „იუვენტუსის", „პარმას" და სერია A-ს ძლიერი კლუბების ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. ნიჭით ვერ გვჯობიან, ეგაა, პირობები აქვთ უკეთესი და მეტს მუშაობენ. მათნაირი პირობები ჩვენში კიდევ კარგა ხანს არ იქნება, მაგრამ, თუ მეტს მოვთხოვთ თავს, რაღაც დონის მიღწევა ჩვენც შეგვიძლია.



**— მაინც, რის ხარჯზე მოგვიგეს იტალიელმა ახალგაზრდებმა?**

— ფიზიკაში და ტაქტიკაში დაგვჯაბნეს. ჩვენ ვერ შევასრულეთ მწვრთნელების დავალება, მათ კი ყოველივე ჩინებულად გააკეთეს. როგორც კი ჩვენიანი ბურთს მიიღებდა, უმალ სამი იტალიელი დაეძგერებოდა. ფეხი ვერ გავანძრიეთ.

**— არეცო ისტორიის ჩაბარდა, წინ 8 ნოემბერი და ინგლისთან შეხვედრაა. რის იტყოდი მომავალ მეტოქეზე?**

— ამბობენ, ძალიან ძლიერი გუნდიაო, მაგრამ, თუ დამიჯერებთ, არავითარი შიშის გრძნობა არა მაქვს. ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ, ჩვენი დავამტკიცოთ. დანარჩენს ბათუმის თამაში გვეტყვის.

**მერაბ მამულაშვილი**
**მამუკა კვანტალიანი**

## ფეხბურთის რუკასთან



საბერძნეთის ჩემპიონატის მე-7 ტურში, ორშაბათს, ბოლო შეხვედრა იყო დარჩენილი. თემურ ქეცბაიას აეკმა სტუმრად მოუგო „ათინაიკოსს" 7:0. ახლა 16 ქულით აეკ-ი „ოლიმპიაკოსის" შემდეგ მეორე ადგილზეა. ამდენივე ქულა აქვს „პანათინაიკოსს", მაგრამ ბურთების სხვაობა აქვს პლუს ათი, აეკს კი პლუს თექვსმეტი.

**ესპანეთის** პირველობის მე-11 ტურში ლიდერი „ბარსელონა" სტუმრად 0:0 ეთამაშა ხიხონის „სპორტინგს". ეს ტურის ბოლო შეხვედრა იყო. „ბარსა" მადრიდის „რეალს" ისედაც ქულით უსწრებდა, ახლა კი უპირატესობა ორქულიანი აქვს.

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგაშიც ორშაბათს ნაგვიანევი შეხვედრა გაიმართა. მე-13 ტურის შემორჩენილ შეხვედრაში „უნტერჰახინგმა" შინ 1:0 სძლია მეორე ადგილზე მყოფ „ვოლფსბურგს".

**იტალიელი** ჯანლუჯი ლენტინი 1992 წელს მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი იყო. მაშინ „მილანმა" „ტორინოს" მასში 14 მილიონი დოლარი გადაუხადა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ზაფხულზე, „მილანი" გენუაში „ჯენოას" ამხანაგურ მატჩში შეხვდა. თამაშის შემდეგ ლენტინი შინ, ტურინში ბრუნდებოდა, როდესაც ავარიაში მოხვდა. ფეხბურთელი 24 საათის განმავლობაში უგრძნობლად იყო, შემდეგ კი მკურნალობამ მრავალი თვე მოითხოვა. ავარიის მერე ლენტინის კარიერა შეიცვალა. წამყვანი ფეხბურთელიდან იგი შემცვლელად იქცა — 68 შეხვედრიდან მხოლოდ 26-ში მიიღო მონაწილეობა, ისიც უპირატესად თამაშში გვიან ერთვებოდა. წლეულს, ზაფხულზე, ლენტინიმ სათადარიგოობისთვის თავის დაღწევის მიზნით „მილანიდან" „ატალანტას" მიაშურა, სადაც მისი ტორინოსდროინდელი მწვრთნელი ემილიანო მონდონიკო ეგულებოდა. გასულ კვირას კი „ატალანტას" „სან-სიროზე" სწორედ „მილანთან" ჰქონდა შეხვედრა. ძველმა ქომაგებმა მონატრებულ მოთამაშეს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. „ჯიჯი დაგვიბრუნდი" — იძახდნენ ისინი. ლენტინიმ მატჩში თავი გამოიჩინა. მისი საუცხოო, 40-მეტრიანი პასით ფილიპო ინძაგიმ ანგარიში გახსნა, რასაც მილანელებმა დემეტრიო ალბერტინის გოლით უპასუხეს და ფრედა მოახერხეს. „ვგონებ, დავბრუნდები „მილანში", ეს ძლიერ მსურს კიდეც, მაგრამ ჩემი დაბრუნება სხვანაირი იქნება" — თქვა ლენტინიმ. მატჩის შემდეგ, იმავე საღამოს კი მას სიურპრიზი ელოდა, არიგო საკიმ, სარაევოში ბოსნიასთან ამხანაგურის სათამაშოდ „სკუადრა აძურაში" მიიწვია.

**ლიხტენშტაინელები** შაბათს მაკედონიას ეთამაშებიან. მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ამ შეხვედრას ისინი ერთადერთი პროფესიონალი ფეხბურთელის, მარიო ფრიკის გარეშე ჩაატარებენ. ფრიკი, რომელიც შვეიცარიის პირველი დივიზიონის „ბაზელში" თამაშობს, ორი ყვითელი ბარათის გამო სტოვებს მაკედონიელებთან მატჩს. ლიხტენშტაინელთა მწვრთნელის ერიხ ბუერზლეს მიერ შერჩეულ თვრამეტ ფეხბურთელს შორის კვლავ გამოჩნდა რალფ ოეჰრი, რომელმაც წინა შეხვედრაში იმიტომ ვერ მიიღო მონაწილეობა, რომ თავისი ძირითადი სამსახურიდან არ გაანთავისუფლეს.

**იტალიის** ნაკრებში, ბოსნიელებთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ, არიგო საკიმ ვერ მიიწვია „ინტერის" და „იუვენტუსის" ფეხბურთელები. საქმე ისაა, რომ ეს ორი გუნდი ქვეყნის თასის გათამაშების განმეორებით შეხვედრებს ატარებდა. ერთადერთი, დისკვალიფიცირებული იუვენტუსელი მორენო ტორიჩელი მოიხელთა მწვრთნელმა, რომლისთვისაც ბოსნიელებთან შეხვედრა შესაძლოა, თავის პოსტზე ბოლო აღმოჩნდეს. საკის ორი ახალწვეულიც ჰყავს: ფლორენციელი პასკუალე პადალინო და პერუჯელი მცველი ფედერიკო ჯიუნტი. ნაკრებს დაუბრუნეს „ფიორენტინას" მცველი დანიელე კარნაშალი და „ლაციოს" გოლკიპერი ლუკა მარკეჯანი. იტალიელთათვის ყველაზე დიდი მოულოდნელობა კი მაინც ატალანტელი ჯიჯი ლენტინის გამოძახება იყო. „სკუადრა აძურას" შემადგენლობა ასეთია: ფრანჩესკო ტოლდო, ლუკა მარკეჯანი; დანიელე კარნაშალი, მორენო ტორიჩელი, ალესიანდრო ნესტა, ალესანდრო კოსტაკურტა, პასკუალე პადალინო, პაოლო მალდინი; დინო ბაჯო, ჯანლუიჯი ლენტინი, რობერტო დი მატეო, დემეტრიო ალბერტინი, ფედერიკო ჯიუნტი; ჯანფრანკო ძოლა, პიერლუიჯი კაზირაგი, ფაბრიციო რავანელი, ენრიკო კიეზა, მარკო სიმონე.

**ესპანეთში** მადრიდის „რეალი", მართალია, მეორე ადგილზეა, მაგრამ კრიტიკა არ აკლია. მწვრთნელი ფაბიო კაპელო, ესპანელთა აზრით საჭირო რაოდენობის გოლებს კი გამოიმუშავებს, მაგრამ გუნდი მეტად უსახურ ფეხბურთს თამაშობს. თავდამსხმელთაგან ყველაზე მეტად დავორ შუკერი და პრედრაგ მიატოვიჩი ჩანან. ბოლო ტურში, სტუმრად „კომპოსტელასთან", მადრიდელებმა სულ სამჯერ დაარტყეს და ორი გოლი კი გაიტანეს. „რეალმა" ახლაც იტალიურად მოიგო" — წერდა „ელ პაისი" — „გუნდი ძალიან ცუდად თამაშობს, პრინციპით, როცა საჭირო იქნება, მხოლოდ მაშინ გავიტან." „დეილი მარკას" აზრით, „რეალი" ცუდად თამაშობს, მაგრამ თავდამსხმელების თვისებებს ჩინებულად იყენებს.

**შვეიცარიაში** დიდი ხმაური გამოიწვია მწვრთნელ როლფ ფრინგერის მიერ ნორვეგიელებთან სათამაშოდ თავდამსხმელების ქუბილაი თურქილმაზის და ნესტორ სუბიას მოწვევამ. ალტაცებულმა პრესამ გაიხსენა, რომ წინა შეკრებასთან შედარებით ორი ცვლილება ერთადერთხელ, გასულ თვეში მოხდა და მაშინ შვეიცარიამ ფინელებს 3:2 მოუგო. „გრასჰოპერის" ორი ზემოხსენებული ფორვარდი ბოლო მატჩში ტრავმების გამო არ მონაწილეობდა. მათ განაცხადში ვეტერან ადრიან კნუპის და დავიდ სესას ადგილი დაიკავეს. სახუმარო ერთადერთი „ჰამბურგის" მცველის შტეფან ჰენჰოცის საქმეა. მას ბოლო დღეებში ზურგი სტკიოდა.

**ინგლისში** პირველი დივიზიონის „ქუინზ პარკ რეინჯერსმა" განიხილა მათი საუკეთესო მოთამაშის ტრევორ სინკლერის თხოვნა ტრანსფერზე წარდგენასთან დაკავშირებით და უარჰყო იგი. 23 წლის სინკლერი, რომლის ნიჭიც 5 მილიონ გირვანქადაა შეფასებული, ადრე ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, შემდეგ ეროვნულ გუნდშიც იწვევდნენ, მაგრამ „ხელისუფლების სათავეში" გლენ ჰოდლის მისვლის შემდეგ იგნორირებულია. მისი ყიდვა სურთ „ტოტენჰემ ჰოთსპურს", „ლიდს იუნაიტედს" და „ბლექბერნ როვერსს". მიუხედავად ფეხბურთელის სურვილისა, „ქუინზ პარკის" მწვრთნელი სტიუარტ ჰიუსტონი და კლუბის მეპატრონე კრის რაიტი გუნდის მთავარი მოთამაშის გასხვისებას არ აპირებენ.

**იტალიური** „პერუჯა", როგორც გაუწყებდით, ინგლისური „ასტონ ვილასგან" 4,5 მილიონ გირვანქა სტერლინგად სავო მილოშევიჩის ყიდვას აპირებდა. პარასკევს მხარეები კონტრაქტისთვის ხელის მოწერას და საქმის დამთავრებას აპირებდნენ, მაგრამ ბოლო ცნობების თანახმად, იტალიელებს ბოლოწამს თანხა ეძვირათ. „ვილას" თავმჯდომარემ დაგ ელისმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან ხელი ჩაიქნია.

**ინგლისის** პირველობის ლიდერის „ნიუკასლ იუნაიტედის" ნახევარმცველმა ლი კლარკმა კლუბს ტრანსფერზე წარდგენა სთხოვა. 24 წლის კლარკს „სენტ ჯეიმსიზ პარკზე" ცხრა წელიწადი აქვს გატარებული, მაგრამ მიმდინარე სეზონში უპირატესად სათადარიგოთა სკამზე ზიდება.

**უელსის** ნაკრებს, მსოფლიოს პირველობის მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში, ეინდჰოვენში ჰოლანდიელებთან აქვს სათამაშო. ბრიტანელთა მწვრთნელი ბობი გოლდი ფრიად უკმაყოფილოა, რომ ტრავმების გამო რაიან გიგზი, ბარი ჰორნი და ნათან ბლეიკი გამოაკლდება. მან განაცხადში შეიყვანა „ლივერპულის" ლი ჯონსი და „ბირმინგემ სიტის" ჯეისონ ბოუენი. მეტოქემ მოისაკლისა ჟორდი კრუიფი, სამაგიეროდ, ტრავმები მოიშუშეს დენის ბერხკამპმა და მარკ ოვერმარსმა.

**გვატემალაში** 16 ოქტომბრის ტრაგედიის მიზეზებს სწავლობენ. ფიფას განცხადებაში ჭყლეტის მთავარი გამომწვევი მიზეზი 10ათასი ზედმეტი ბილეთის გაყიდვა იყო. ბილეთების გაყიდვასა და ალაყაფის გაღება-დაკეტვაზე პასუხისმგებელი გახლავთ ვინმე აუგუსტო არიოო ერნანდესი. „მატეო ფლორესის ეროვნული სტადიონის" ორი მოხელე ყალბი ბილეთების დამზადებასა და გასაღებაში ამხილეს. დაკითხეს კიდევ ათი თანამშრომელი. ცნობათა თანახმად, 84 ადამიანის სიკვდილსა და 19-ის დაშავებაში დამნაშავეა აგრეთვე გვატემალის სპორტის ავტონომიური კონფედერაციის პრეზიდენტი როლანდო კასტრო დე ლეონი.

## ინგლისი

### ევერტონი 1:1 ქოვენთრი

ევერტონი: საუთჰოლი, ბარტი, ჰინჩლიფი, ანსუორსი (ბრანჩი 73), უოტსონი, სტიუარტი, სპიდი, ბარმბი, კანჩელსკისი, პარკინსონი (გრანტი 82), შორტი

ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, უილიამსი, დეიში, რიჩარდსონი, ვილანი (სტრაჩანი 86), დაბლინი, მაკალისტერი, სალაკო, ტელფერი, ბოროუზი (ნდლოვუ 60)

გოლი: სტიუარტი (45 პ), მაკალისტერი (68)

გაფრთხილება: შორტი, ვილანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 12 | 9 | 0 | 3 | 23:13 | 27 |
| არსენალი | 12 | 7 | 4 | 1 | 24:10 | 25 |
| უიმბლდონი | 12 | 7 | 2 | 3 | 22:13 | 23 |
| ლივერპული | 11 | 7 | 2 | 2 | 20:11 | 23 |
| ჩელსი | 12 | 6 | 4 | 2 | 21:17 | 22 |
| მანჩესტერი | 12 | 5 | 4 | 3 | 23:19 | 19 |
| ასტონ ვილა | 12 | 5 | 3 | 4 | 15:11 | 18 |
| ტოტენჰემი | 12 | 5 | 2 | 5 | 12:11 | 17 |
| ევერტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:12 | 16 |
| შეფილდი | 12 | 4 | 4 | 4 | 13:17 | 16 |
| დერბი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:14 | 14 |
| ვესტ ჰემი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:16 | 14 |
| ლესტერი | 12 | 4 | 2 | 6 | 9:15 | 14 |
| საუთჰემპტონი | 12 | 3 | 4 | 5 | 21:17 | 13 |
| მიდლსბრო | 12 | 3 | 4 | 5 | 17:21 | 13 |
| სანდერლენდი | 12 | 3 | 4 | 5 | 9:14 | 13 |
| ლიდსი | 12 | 4 | 1 | 7 | 11:18 | 13 |
| ქოვენთრი | 12 | 1 | 6 | 5 | 5:15 | 9 |
| ნოტინგემი | 12 | 1 | 5 | 6 | 10:20 | 8 |
| ბლექბერნი | 12 | 1 | 4 | 7 | 10:16 | 7 |

## ინგლისში საუკეთესო

ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და „არსენალის" 33 წლის მეკარე დევიდ სიმენი საფეხბურთო მწერალთა გამოკითხვით, ქვეყნის წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მან რეფერენდუმის შედეგად გაასწრო ალან შირერს და ტონი ადამსს.

დევიდ სიმენის წლევანდელი ყველაზე თვალსაჩინო მიღწევები ევროპის პირველობაზე იყო. ჯერ შოტლანდიელებთან შეხვედრაში გარი მაკალისტერს აუღო პენალტი და ამით ინგლისელთა გამარჯვებაში (2:0) დიდი წვლილი შეიტანა, შემდეგ, მეოთხედფინალში კი, თერთმეტმეტრიანთა სერიაში, მიგელ ნადალის დარტყმა მოიგერია და გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა.

## ავსტრია

მე-16 ტური. ლინცი — რაპიდი 0:1, ზალცბურგი — რიედი 3:0, შტურმი — ადმირა ვაკერი 1:3, აუსტრია — გრაცერი 2:1, ტიროლი — ლინცერი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 16 | 9 | 6 | 1 | 31:14 | 33 |
| ზალცბურგი | 16 | 9 | 5 | 2 | 22:8 | 32 |
| ტიროლი | 15 | 8 | 4 | 3 | 26:15 | 28 |
| ლინცერი | 16 | 5 | 6 | 5 | 18:20 | 21 |
| აუსტრია | 16 | 6 | 3 | 7 | 19:28 | 21 |
| შტურმი | 16 | 5 | 4 | 7 | 21:19 | 19 |
| გრაცერი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:20 | 17 |
| რიედი | 16 | 5 | 2 | 9 | 21:29 | 17 |
| ადმირა | 16 | 3 | 6 | 7 | 18:26 | 15 |
| ლინცი | 16 | 2 | 5 | 9 | 8:21 | 11 |

## რუსეთის ჩემპიონის ბედს... კიევის „დინამო" წყვეტს!

გუშინ რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ოფისში ორი საათი ვიჯექი ტოლსტიხის კაბინეტში. ქართველი მკითხველი, ცხადია, მიხვდება, რომ ამის მიზეზი ტოლსტიხის მონატრება არ იყო. კაბინეტში ისხდნენ ვლადიკავკაზის „ალანიის" პრეზიდენტი სოსლან ანდიევი და მთავარი მწვრთნელი ვალერი გაზაევი, მოსკოვის „სპარტაკის" ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ იასაულენკო და მთავრი მწვრთნელი გიორგი იარცევი. ეს ძვირფასი გვამები საჩემპიონო მატჩის მასპინძელი ქალაქის დადგენას ლამობდნენ და ვერ დაადგინეს. ან სოჭია, ან პეტერბურგი. ტოლსტიხმა ორივე ქალაქის მერიებს გაუგზავნა შეტყობინება და ელოდება პასუხს, რომელი უკეთ უზრუნველყოფს მატჩის ჩატარებას. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, სანქტ-პეტერბურგს აირჩევენ.

შემდეგ საკითხად მთავრი არბიტრის დანიშვნა იყო. პეტერბურგელი ბეზზუბიაკი თუ მისივე თანაქალაქელი ლევნიკოვი? მესამე კანდიდატურა, ტობოლსკელი გუსევი უცებ მოიხსნა. კენჭი ყარეს და ამოღების უფლება გაზაევს ერგო, მანაც ბეზზუბიაკის გვარიანი კენჭი ამოიღო. ეს არბიტრი იმსაჯებს უპრინციპულეს მატჩს, 16 ნოემბერს 17 საათზე რომ დაიწყება. თუმცა დაველოდოთ, რას გადაწყვეტენ ზემოთ ნახსენები პიროვნებები ქალაქების მერთა საპასუხო ფაქსების შემდეგ.

ერთმანეთთან უბრად მყოფი გაზაევი და იარცევი საკმაოდ კარგად ეპყრობოდნენ ერთმანეთს და „ბატონობით" მიმართავდნენ.

– ყველაზე სასაცილო კი ის იყო, რომ ყველა სადაო საკითხის გადასაჭრელად კენჭისყრისას გამოიყენეს კიევის „დინამოს" ემბლემიანი ლუდის კათხა.

**ალექსეი მატვეევი**
**„სპორტ-ექსპრესი" საგანგებოდ „სარბიელისთვის"**

P. S. გუშინ მოსკოვის დროით 17 საათზე შევიტყვე, რომ მატჩი სანქტ-პეტერბურგში გაიმართება.

# სარბიელი

## სპორტული ლატარეა "CROCO"

### მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

9 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| საქართველო — ინგლისი | ანგარიში — 4,5 | | |
| ავსტრია — ლატვია | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:2 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჰოლანდია — უელსი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ლიხტენშტაინი — მაკედონია | 7,0 | 3,4 | 1,2 |
| ალბანეთი — სომხეთი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| გერმანია — ჩრდ. ირლანდია | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:2 | 1,7 | /3,4 | 2,4 |
| პორტუგალია — უკრაინა | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| **10 ნოემბერი** | | | |
| ხორვატია — საბერძნეთი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| სლოვენია — ბოსნია | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| პოლონეთი — მოლდოვა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| შვეიცარია — ნორვეგია | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| აზერბაიჯანი — უნგრეთი | 6,5 | 3,0 | 1,3 |
| შოტლანდია — შვედეთი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| კვიპროსი — ისრაელი | 5,0 | 3,0 | 1,4 |
| ლუქსემბურგი — რუსეთი | 10,0 | 4,0 | 1,1 |
| 2:0 | 2,7 | 3,4 | 1,6 |
| იუგოსლავია — ჩეხეთი | 1,6 | 2,7 | 4,0 |
| თურქეთი — სან მარინო | 1,01 | 6,0 | 13,0 |
| 0:4 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ირლანდია — ისლანდია | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:2 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| ჩილე — ურუგვაი | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ბოლივია — კოლუმბია | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| პარაგვაი — ეკვადორი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| პერუ — ვენესუელა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| **ესპანეთი. XII ტური** | | | |
| **10 ნოემბერი** | | | |
| ბარსელონა — ატლეტიკო | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| ვალიადოლიდი — სპორტინგი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| ბილბაო — ვალენსია | 2,0 | 2,7 | 2,7 |
| ესტრემადურა — სევილია | 2,3 | 2,5 | 2,3 |
| რეალი — ლოგრონიესი | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,0 |
| სელტა — კომპოსტელა | 1,3 | 3,1 | 6,0 |
| დეპორტივო — ტენერიფე | 1,25 | 3,1 | 7,0 |
| ერკულესი — სარაგოსა | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| ბეტისი — სოსიედადი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| რაიო ვალეკახო — რასინგი | 2,0 | 3,1 | 2,0 |
| ოვიედო — ესპანიოლი | 1,8 | 2,6 | 3,2 |
| **ბელგია. XIV ტური** | | | |
| **9 ნოემბერი** | | | |
| სტანდარდი — ანტვერპენი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| მოლენბეკი — სერკლ ბრიუგე | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| შარლერუა — ლომელი | 1,45 | 3,0 | 4,4 |
| მეხელენი — ალსტი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| ლიერსი — ლოკერენი | 1,5 | 2,8 | 4,4 |
| სტ. ტრუდენი — ჰარელბეკი | 3,1 | 2,7 | 1,8 |
| გენკი — გენტი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| **10 ნოემბერი** | | | |
| ბრიუგე — ანდერლეხტი | 1,8 | 2,5 | 3,3 |
| ეკერენი — მუსკრონი | 3,1 | 2,7 | 1,8 |
| **I დივიზიონი. XVIII ტური** | | | |
| **9 ნოემბერი** | | | |
| ბარნსლი — ნორვიჩი | 1,7 | 2,6 | 3,6 |
| ბირმინგემი — ბოლტონი | 4,0 | 3,0 | 1,5 |
| ჩარლტონი — გრიმსბი | 1,3 | 3,0 | 6,5 |
| კრისტალ პალასი — ქუინზ პარკი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ჰადერსფილდი — ბრედფორდი | 1,2 | 3,3 | 8,0 |
| იფსვიჩი — საუთენდი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| სიტი — ოქსფორდი | 1,4 | 3,0 | 5,0 |
| ოლდემი — პორტსმუთი | 1,7 | 2,9 | 3,2 |
| რედინგი — ტრანმერი | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| შეფილდი — სვინდონი | 1,35 | 3,0 | 5,6 |
| სტოკ სიტი — ვულვერჰემპტონი | 1,8 | 2,6 | 3,2 |
| ვესტ ბრომვიჩი — პორტვეილი | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| **იტალია. სერია B. X ტური** | | | |
| **10 ნოემბერი** | | | |
| ბარი — ჩეზენა | 1,35 | 2,9 | 6,0 |
| დი სანგრო — ბრეშია | 2,7 | 2,7 | 2,0 |
| კიევო — სალერნიტანა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| პალერმო — ლეჩე | 2,3 | 2,8 | 2,0 |
| კოზენცა — ემპოლი | 2,1 | 2,6 | 2,6 |
| ჯენოა — პესკარა | 1,7 | 2,8 | 3,3 |
| ლუკეზე — ვენეცია | 1,15 | 3,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |
| პადოვა— რეჯინა | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |
| რავენა — ფოჯა | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ტორინო — კრემონეზე | 1,1 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 3,4 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

ჭადრაკი

# მეორე მაიაც გაიზარდა

ერევანში საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქართველ მოჭადრაკე ქალთა ბრწყინვალე გამარჯვება გულშემატკივრებს არ გაჰკვირვებიათ — ჩვენმა გამობრძმედილმა დიდოსტატებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავისი მაღალი კლასი. მაგრამ დიდ საჭადრაკო ტრადიციებს გაგრძელება სჭირდება და ამ თვალსაზრისით უფრო საინტერესო ისაა, ვინ მოდის მომავლიდან, ანუ ჰყავს თუ არა ღირსეული ცვლა ამ სახელოვან თაობას. საქართველოში ნიჭიერ ბავშვებს რა გამოლევს, მაგრამ დაიმკვიდრებენ თუ არა უმაღლეს საჭადრაკო მწვერვალებს, მათ მუყაითობაზე, მწვრთნელთა ოსტატობაზე და კიდევ ბევრ პირობაზეა დამოკიდებული. ერთ-ერთი ახალგაზრდა მოჭადრაკე, რომელიც ჩვენს დიდოსტატ ქალებს თანდათან უახლოვდება ოსტატობით, მაია ლომინეიშვილი გახლავთ. საჭადრაკო ოლიმპიადის დღეებში ერევანში გამართულ ფიდეს კონგრესზე მაიას საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა. ხოლო ახლახან უნგრეთში, 20 წლამდე მოჭადრაკე ქალთა პირველობაზე (მაიას 11 ნოემბერს უსრულდება 19 წელი), ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამ შეჯიბრების შესახებ გვესაუბრა მაიას მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი.

„ჩემპიონატი უნგრეთის ქალაქ ტაპორცაში გაიმართა. ტურნირში 30 მონაწილე იყო და შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. შემადგენლობა ძალზე ძლიერი იყო, საკმარისია ითქვას, რომ ჩეხი კრუპკოვა და სლოვაკი ჰაგაროვა ერევნის ოლიმპიადაზე პირველ დაფებზე გამოდიოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა ჭადრაკში ტრადიციულად ძლიერ რუსებს და უკრაინელებს შესაბამისად 3 და 2 მონაწილე ჰყავდათ. ჩვენ ტურნირის დაწყებამდე 5 დღით ადრე ჩავფრინდით ტაპორცაში (მხოლოდ ერთი რეისია კვირაში), რომელიც ბალატონის ტბის პირას მდებარეობს. აქ, სუფთა ჰაერზე, ფიზიკურადაც კარგად მოვემზადეთ და თეორიულადაც. ამან განაპირობა მაიას ჩინებული სტარტი — 6-დან 6 ქულა! თანაც, თითქმის ყველა კონკურენტთან ითამაშა. მეშვიდე ტურში ჩეხ კრუპკოვას შეხვდა, დაძაბული შეხვედრა ყაიმით დასრულდა. დარჩენილ შეხვედრებში ძლიერი მეტოქეები აღარ ჰყავდა და პირველი ადგილის დაკავება არ გაჭირვებია. მაიამ 11-დან 9 ქულა მოაგროვა და ქულანახევრით გაუსწრო პეტრა კრუპკოვას და უკრაინელ ტატიანა კონონენკოს. ამ წარმატებით მოჭადრაკემ თავის რეიტინგს 30 ქულა შეჰმატა. უნდა ითქვას, რომ წლის მეორე ნახევარში მაიამ შესანიშნავად ითამაშა: მოიგო საქართველოს ქალთა ჩემპიონატი, წარმატებით ითამაშა მოსკოვის ვაჟ დიდოსტატთა მე-8 კატეგორიის ტურნირში, პოლონეთის ქალთა საერთაშორისო ტურნირში, სადაც მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა ფატალიბეკოვას (რუსეთი) და რადუს (რუმინეთი). ახლა იგი მსოფლიოს 20-25 საუკეთესო მოჭადრაკე ქალთა შორისაა. მაია ძალზე მონდომებულია, შრომისმოყვარე გოგონაა და მისგან მომავალში, ალბათ, დიდ წარმატებებს უნდა ველოდოთ. უახლოეს ხანებში იგი მიწვეულია გრონინგენის (ჰოლანდია) საერთაშორისო ტურნირზე, უნგრეთში ვაჟთა ტურნირზე და პოლონეთის ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც ვარშავაში გაიმართება".

ერთი სიტყვით, ქართველ მოჭადრაკე ქალთა რიგებს მალე, ალბათ, კიდევ ერთი უმაღლესი კლასის დიდოსტატი შეემატება.

**კოტე მგალობლიშვილი**

ტანვარჯიში

# ღმერთო, როგორმე გამოგვაზამთრე

ჩვენმა ტანმოვარჯიშეებმა წლევანდელი სეზონი საქართველოს ჩემპიონატით დაასრულეს. მონაწილენი სულ სამი ქალაქიდან — თბილისიდან, ბათუმიდან და ქუთაისიდან იყვნენ. გუნდურ ჩათვლაში პირველები თბილისელები იყვნენ, მეორეზე ბათუმელები გავიდნენ, მესამეზე — ქუთაისელები.

პირადი პირველობა ვაჟებმაც და ქალებმაც მხოლოდ მრავალჭიდში გამართეს და სხვადასხვა პროგრამით იასპარეზეს: ოსტატთა, ოსტატობის კანდიდატთა და პირველთანრიგოსანთა. უკონკურსოდ უმცროსი ასაკის სპორტსმენებიც დაუშვეს.

ვაჟებში, რა თქმა უნდა, ვერავინ აჯობა ოლიმპიელ ილია გიორგაძეს, რომელიც თბილისის სახელით გამოვიდა და 112,9 ქულა მიიღო, მეორე-მესამე ადგილებიც თბილისელებმა ირგუნეს — ალექსანდრე თვაურმა 109,8, კახა შუკაკიძემ 96,4.

ქალებში საუკეთესომ — ბათუმელმა ეთერ დიასამიძემ 73,75 ქულა მოაგროვა და მნიშვნელოვნად გაუსწრო მეორე-მესამე ადგილებზე გასულთ: ირინა მეშჩაკსა (თბილისი) 68,7 და მარია ხამიაკოვას (ბათუმი) 68,7.

ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შეჯიბრებების მოკლედ შეჯამება ვთხოვეთ ტანვარჯიშის სახეობათა ფედერაციის გენერალურ მდივანს ზიგფრიდ გვეტაძეს და საქართველოს ვაჟთა ნაკრების უფროს მწვრთნელს რონ პასიკაშვილს.

ზიგფრიდ გვეტაძე: ჩვენი დღევანდელი პირობების კვალობაზე ჩემპიონატს ნორმალური ეთქმოდა, ახლა კი, ზამთრის დადგომასთან ერთად პრაქტიკულად საწვრთნელი პროცესიც იშლება, რადგან ერთადერთი დარბაზი, რომელიც თბება და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც დენია, პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე ოლიმპიური რეზერვის სკოლის დარბაზია. სხვა დარბაზებში, თბილისშიც და სხვაგანაც, ზამთარში სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარება შეუძლებელია. ამას გარდა, მოგვიძველდა ტანვარჯიშული იარაღები, ასეთ იარაღებზე დღეს უკვე აღარავინ ვარჯიშობს. ადრე საქართველოს პირველობაზე ჩამოსულ გუნდებს უზრუნველვყოფდით კვებით და ბინით, მსაჯებს გზის ხარჯსაც ვუნაზღაურებდით, ახლა კი სადღაა ამის საშუალება, ჩემპიონატიც აკი ენთუზიაზმზე ჩატარდა. ამიტომაცაა, რომ ბევრმა ჩვენმა მოწინავე მწვრთნელმა დაგვტოვა, ზოგმა პროფესია შეიცვალა, ზოგიც უცხოეთში წავიდა.

რონ პასიკაშვილი: როგორ პირობებში გვიხდება მუშაობა, ბატონმა ზიგფრიდმა უკვე მოგახსენათ. არადა, ძალზე პერსპექტიული სპორტსმენები გვყავს. ილია გიორგაძემ ამ ზამთარს მოსკოვს თუ არ მიაშურა, სავარჯიშო ციკლი ჩაეშლება. ძალზე ნიჭიერია მეორე პრიზიორი თვაურიც, გვინდა, მასაც რაიმე მოვუხერხოთ, რათა ამ ზამთარს უვარჯიშებელი არ დაგვრჩეს. გვყავს სხვა პერსპექტიული ბიჭებიც, რომლებიც ჩემპიონატში პირველი თანრიგის პროგრამით ასპარეზობდნენ. თუ მათ ახლავე არ მივხედავთ, დიდი სპორტისთვის დაიკარგებიან. არადა, მომავალი ოლიმპიადისთვის მზადება აქედანვე უნდა დავიწყოთ, რადგან ოლიმპიურ ციკლში ყოველი გაცდენილი თვეც კი აისახება ტანმოვარჯიშის ოსტატობაზე.

**კოტე მგალობლიშვილი**

მაგიდის ჩოგბურთი

# მაგიდა 21 კაცზე

იმდენად ცოტანი იყვნენ საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის დელეგატები, რომ სპორტის დეპარტამენტის სპორტის მთავარი სამმართველოს უფროსის ამირან აბესაძის კაბინეტმაც კი დაიტია. თუმცა რაოდენობრივ სიმცირეს ყრილობის მუშაობაზე სულაც არ მოუხდენია გავლენა — ფედერაციის პრეზიდენტობის ორი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტობის სამი კანდიდატი დაასახელა. მოწვეული 22 დელეგატიდან ყრილობას არ ესწრებოდა ერთი.

ფედერაციის მუშაობა შეაჯამა და სარევიზიო კომისიის ანგარიში წარადგინა პრეზიდენტობის მოვალეობის დროებით შემსრულებელმა იური გონაძემ. ყრილობამ ფედერაციის საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

კამათში მონაწილეთა წინადადებები შეაჯამა ამირან აბესაძემ, რომელმაც დამსწრეთ განუცხადა, სპორტის დეპარტამენტისთვის კონკრეტული წინადადებები მიეწოდებინათ და დახმარება აღუთქვა. საუბარი იყო სპორტული სკოლის გახსნის შესახებ, აღინიშნა, რომ ახალგაზრდების მასიურად მოზიდვის გარეშე საქმეს არაფერი ეშველება. ითქვა, რომ აუცილებელია ჩატარდეს საქართველოს პირველობები, რომლებიც ნიჭიერ და პერსპექტიულ სპორტსმენებს გამოავლენენ.

პრეზიდენტის თანამდებობაზე იური გონაძისა და თემურ იმერლიშვილის კანდიდატურები იყო წარდგენილი. ყრილობამ ხმათა უმრავლესობით პრეზიდენტად საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იური გონაძე აირჩია.

ვიცე-პრეზიდენტობას აწ უკვე ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ტრისტან გელაშვილი, რობერტ კუდაშვილი და თემურ იმერლიშვილი ეცილებოდნენ ერთმანეთს. ყველაზე მეტი ხმა ტრისტან გელაშვილმა მიიღო.

გენერალური მდივანი ჟანა ხურშუდიანი ერთადერთი იყო, მოცილე რომ არ ჰყავდა და ყრილობამ იგი დატოვა ამ თანამდებობაზე. არჩევნებში ხელმოცარული თემურ იმერლიშვილი და რობერტ კუდაშვილი ფედერაციის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შეიყვანეს.

**ერეკლე კიკილაშვილი**

კალათბურთი

### ბილ რასელი: ყოველთვის მსურდა ლეიკერზელობა

ნბა-ს არ ჰყოლია ბილ რასელისებრ ტიტულოვანი მოთამაშე. „ბოსტონ სელტიქსის" ლეგენდარულმა ცენტრმა 13 სეზონის განმავლობაში 11-ჯერ მოიპოვა ასოციაციის ჩემპიონობა. იგი იყო ბოსტონელთა არნახული წარმატების სულისჩამდგმელი, როცა გუნდმა 1959-66 წლებში ზედიზედ რვაჯერ მოიგო ჩემპიონობა, მოკლედ, რასელი და „ბოსტონ სელტიქსი" განუყოფელი ცნებებია, მაგრამ...

3 ნოემბერს ბილმა განაცხადა, რომ ბავშვობიდანვე სურდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის" წევრობა. მიზეზი: იგი აღმერთებდა „ლეიკერზის" ცენტრს.

არა, აქ არ იგულისხმება მეორე დიდი ცენტრი უილტ ჩემბერლენი, რომელიც „ლეიკერზში" 1969 წელს გადავიდა და ნბა-ს იმ წლის ფინალში რასელთან და „სელტიქსთან" დამარცხდა. რასელი აღმერთებდა ჯორჯ მაიკენს. თავად ბილი იგონებს: „მესამე კურსის სტუდენტი „ლეიკერზის" თამაშზე წავედი. მაიკენი გასახდელიდან გამოვიდა და რომ დამინახა, მკითხა, როგორა ხარ, დიდო ყმაწვილოო. შემდეგ გაჩერდა და 15 წუთს მელაპარაკა. მაშინ მაიკენმა მითხრა, რა იცი, ეგებ, ერთ მშვენიერ დღეს შენც ლეიკერზელი გახდეო. იქიდან მოყოლებული სხვა სურვილი არა მქონია, ჩემს თავს სულ „ლეიკერზის" ყვითელ-იისფერ ფორმაში ვხედავდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი ოცნება არ ასრულდა".

# დიადთა აუსრულებელი ოცნებები

### უილტ ჩემბერლენი: ჩემს დროს სამქულიანები რომ ყოფილიყო

უილტ ჩემბერლენი პირველი კაცი იყო, ვინც შეაჩერა ბილ რასელისა და „ბოსტონ სელტიქსის" ზედიზედ რვასეზონიანი ჩემპიონობა. 1967 წელს მისი თაოსნობით „ფილადელფია-76"-მა 4:1 მოუგო „ბოსტონს" აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში. მერე ჩემბერლენი „ლოს-ანჯელეს ლეიკერზში" გადავიდა და 1969 წლის ფინალი იგივე „ბოსტონთან" დათმო.

ჰოდა, ამ ლეგენდარულმა ცენტრმა განაცხადა, დღეს რომ ნბა-ში ვთამაშობდე, უკანახაზელობას ვინატრებდიო. ჩემბერლენი თავის დროზე შორიდან კარგად კი ისროდა, მაგრამ დღევანდელი სამქულიანი ნიშნულიდან იშვიათად უტევდა ფარს.

„ნეტავ ჩემს დროს ყოფილიყო სამქულიანები — თქვა ჩემბერლენმა — ამას რომ მოვსწრებოდი, ჩემი 100-ქულიანი რეკორდი 150-იანი იქნებოდა". რასელმა ხელიდან არ გაუშვა ყოფილი მეტოქის გაქილიკების შანსი და უთხრა, რომც ყოფილიყო მაშინ სამქულიანები და გესროლა რამდენიც გინდოდა, ჩვენთან მაინც ვერაფერს გახდებოდითო. ჩემბერლენი რასელზე 8 სანტიმეტრით მაღალი იყო და ფარქვეშ ხანდახან სჯობდა კიდეც.

# ლეგენდა

ნბა-ს ჰყავს თავისი „რიგითი მუშაკები", ანუ კალათბურთელები, რომლებსაც უთამაშიათ, მაგრამ მნიშვნელოვანი არაფერი დაუტოვებიათ. ჰყავს ვარსკვლავებიც და სუპერ-ვარსკვლავებიც. ამ უკანასკნელთა კატეგორიაშიც არის ელიტარული ჯგუფი, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე მოთამაშე თუ შედის. მათ „დიადები" ეწოდებათ. უილტ ჩემბერლენი, 60-იანი წლების „ფილადელფია ვორიორზის" და, შემდეგ, „ლოს-ანჯელეს ლეიკერზის" სუპერ-ცენტრი სწორედ „დიადებს" განეკუთვნება.

ნბა-ში მრავალი რეკორდი აღნუსხულა, მაგრამ ჩემბერლენის მიღწევა ყველასგან გამორჩეულია. ეს ისტორიული ფაქტი 1962 წლის 12 მარტს მოხდა. მაშინ დამყარდა ერთ მატჩში შედეგიანობის რეკორდი — 100 ქულა. ამის გაკეთება კი ლეგენდარულმა უილტ ჩემბერლენმა შეძლო. მას შემდეგ ეს მიღწევა ველარავის გაუმეორებია.

უილტ ჩემბერლენი დაიბადა 1936 წლის 21 აგვისტოს ფილადელფიაში. კანზასის უნივერსიტეტში სწავლისას მას „ფილადელფია ვორიორზმა" დაადგა თვალი. 1958 წლის დრაფტში „ფილადელფიამ" ჩემბერლენი ამოირჩია, თუმცა მაშინ მოთამაშეები მაინცდამაინც არ სჭირდებოდა და უმაღლეს დონეზე უილტმა ჯერ ვერ ითამაშა. უსაქმოდ რომ არ ყოფილიყო, ჩემბერლენი ჩაეწერა საქვეყნოდ ცნობილ საკალათბურთო ცირკ „ჰარლემ გლობტროტერზში" და მთელი მსოფლიო მოიარა.

1958 წლის სეზონში კი „ფილადელფიამ" უხმო ჩემბერლენს და მისი პროფესიული კარიერაც დაიწყო. იმ სეზონში გაუგონარი რამ მოხდა: უილტი ერთდროულად დაასახელეს საუკეთესო ახალბედა და უძვირფასეს მოთამაშედ. ჩემბერლენმა კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა — მატჩში საშუალოდ 37,6 ქულას აგროვებდა. წინა ორი წლის საუკეთესო მაჩვენებელი 29,9 ქულა იყო.

მომდევნო წელს საოცარი უილტის თამაში კიდევ უფრო გაუმჯობესდა და საშუალო შედეგიანობამ 38,4 ქულას მიაღწია. მაგრამ წინ იყო მესამე სეზონი, როცა ჩემბერლენის ოსტატობამ პიკს მიაღწია. დადგა 1962 წლის 12 მარტი. „ფილადელფიამ" 169:147 დაამარცხა „ნიუ-იორკი", მაგრამ გუნდის წარმატება, რომელსაც ფრენკ მაკგვაიერი წვრთნიდა, მთლიანად დაჩრდილა ჩემბერლენმა, ვინც 100 ქულა გააკეთა — „უორიორზის" ქულების თითქმის 60 პროცენტი.

იმ ჩემპიონატის ბოლოს ჩემბერლენის საშუალო შედეგიანობა 50,4 ქულა იყო. ვერც ეს მაჩვენებელი გაუუმჯობესებია ვინმეს დღემდე. ისე, ამ ამბავს არავინ გაუოცებია, რადგან უილტი ის კაცი იყო, რომელმაც 100 ქულა ერთ თამაშში გააკეთა. სიმართლე ითქვას, მწვრთნელი ფრენკ მაკგვაიერი წინასწარმეტყველებდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა. იგი იხსენებს: „რამდენიმე ხნით ადრე უილტმა 78 ქულა მოიპოვა „ლეიკერზთან". იმ თამაშის შემდეგ ვიფიქრე, რომ ჩემბერლენს 100 ქულის მისაღწევად დიდი დრო არ დასჭირდებოდა".

თავის რეკორდის გახსენებისას უილტი ხუმრობს და ცდილობს თავი ისე დაიჭიროს, თითქოს არაფერი მომხდარა: „რა თქმა უნდა, ეს საოცარი შედეგია, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია. მე მხოლოდ გავაორკეცე ჩემი საშუალო წლიური მაჩვენებელი. ხშირად ხდება, რომ მოთამაშე, რომლის საშუალო შედეგიანობა 15 ქულაა, ზოგჯერ 30-საც აკეთებს, მაგრამ ამით გაკვირვებული არავინ რჩება. მეც დაახლოებით იგივე გავაკეთე. ვთვლი, რომ ჩემთვის უფრო მთავარი საშუალო შედეგიანობაა, ვიდრე იმ ერთ ზღაპრულ საღამოს დამყარებული რეკორდი".

მის არცერთ თანაგუნდელს არ მოუვიდოდა აზრად, რომ ვინმე აჯობებდა



უილტ ჩემბერლენი

უილტს, მაგრამ როცა „ფილადელფიის" ცენტრმა იმ დღეს 88 ქულას მიაღწია, მთელმა გუნდმა იფიქრა, რომ შესაძლებელი იყო რაღაც წვლილი შეეტანათ ამ ისტორიულ მოვლენაში.

ყოველ შემთხვევაში, ჩემბერლენი ნბა-ს ისტორიაში უფრო ინდივიდუალური შედეგებით (პირველ რიგში, 100 ქულით) შევიდა, ვიდრე გუნდური გამარჯვებებით. იგი სულ ერთხელ იყო ნბა-ს ჩემპიონი. ამის მიზეზი კი ერთი კაცი გახლავთ. ჩემბერლენის დიდებას ყოველთვის აჩრდილივით სდევდა კალათბურთის მეორე გენია — კაცი, რომელიც იმ პერიოდში 11-ჯერ გახდა ნბა-ს ჩემპიონი და ერთი და იგივე, „ბოსტონ სელტიქსის" მაისურით. რასაკვირველია, ვგულისხმობთ ბილი რასელს — ანტი-ჩემბერლენს, ერთადერთ მოთამაშეს, რომელიც არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით აზრხებდა განუმეორებელი უილტის შეჩერებას.

**თამარ ყენია**

## ევროპის თასი

5 ნოემბერი. VI ტური

A ჯგუფი

რაბოტნიჩკი (მაკედონია) — სტეფანელ (იტალია) 78:71; პოლზელა (სლოვენია) — ფენერბაჩე (თურქეთი) 91:81; ნობილესი (პოლონეთი) — ასკ (ლატვია) 93:92

B ჯგუფი

სენტ-პოლტენი (ავსტრია) — ანტიბი (საფრანგეთი) 60:62; ვოლტექსი (სლოვენია) — ზაგრები (ხორვატია) 78:75; ჟალგირისი (ლიტვა) — სლობოდა დიტა (ბოსნია) 88:55

C ჯგუფი

მზტ (მაკედონია) — რეალი (ესპანეთი) — ნუხელ გაიმართა; ჰაპოელ გალილ ელიონი (ისრაელი) — ულმი (გერმანია) 90:87; ბენფიკა (პორტუგალია) — პლევენი (ბულგარეთი) 96:75

D ჯგუფი

აპოელი (კვიპროსი) — პსჟ (საფრანგეთი) — წუხელ გაიმართა; ჰაპოელ იერუსალიმი (ისრაელი) — ჰაგენი (გერმანია) 97:90; პორტუ (პორტუგალია) — ნიუ ვეივი (შვედეთი) 110:97

E ჯგუფი

აქილეასი (კვიპროსი) — ირაკლისი (საბერძნეთი) 74:98; გენტი (ბელგია) — ზადარი (ხორვატია) 80:69; შლიონსკი (პოლონეთი) — ჰერცოგენბოსი (ჰოლანდია) 94:77

F ჯგუფი

სტაველსი (ჩეხეთი) — აპოლონი (საბერძნეთი) 76:84; სუნაირი (ბელგია) — აკვარიუსი (რუსეთი) 94:64; ბუდიველნიკი (უკრაინა) — უნივერსიტატეა (რუმინეთი) 76:51

G ჯგუფი

ინტერი (სლოვაკეთი) — ტდკ (ესპანეთი) 78:95; ბეოცინი (იუგოსლავია) — ავტოდორი (რუსეთი) 88:70; ტორპან პოიატი (ფინეთი) — შახტიორი (უკრაინა) 81:68

H ჯგუფი

ლონდონ თაუერზი (ინგლისი) — რიელო (იტალია) — წუხელ გაიმართა; ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) — ფთთ (თურქეთი) 62:53; კიორმენდი (უნგრეთი) — ვითა (საქართველო) 97:78

თბილისის „ვითა" 78:97 დამარცხდა უნგრეთის „კიორმენდთან" ევროპის თასის მეექვსე ტურში. ჩვენი კალათბურთელები თამაშის ღამესვე გამოფრინდნენ უკან და თბილისში გუშინ დაბრუნდნენ.

„ვითას" კარგად დაუწყია და ერთხანს დაწინაურებულა კიდეც. მერე კი ხახალეიშვილის სასწორთან ვერმიყვანის მსგავსი კურიოზი მომხდარა. ვითელებს უნგრეთში წასვლის წინ ჩაუბარებიათ ახალი ფორმები ნომრების დასაწერად. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მეორე წუთზე მსაჯმა თამაში შეაჩერა და ვახტანგ ნაცვლიშვილს უთხრა, წინა მხარეს ნომერი არ გაწერიაო. მართლაც ასე ყოფილა და ვატოს თამაშიდან ხსნიდნენ, მაგრამ „ვითას" მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს ჭკუა უხმარია და უთქვამს, მაგას ნომერი თამაშისას მოსძვრაო. ნაცვლიშვილი მაინც გამოუყვანიათ თამაშიდან. მერე ჩვენებს სადღაც უპოვნიათ ნემსი და ძაფი, ლეიკოპლასტირი, ნაჭრები და ვატოს ფორმაზე ნომერი სახელდახელოდ მიუკერებიათ. ამას 12 წუთი მოუნდა და უნგრელები სწორედ ამ დროს გაჭრილან წინ და ტაიმიც 25 ქულით მოუგიათ. აქვე აღვნიშნოთ, რომ ნაცვლიშვილმა, რაც დასცალდა, დიდებულად ითამაშა — 32 ქულა გააკეთა.

მეორე ტაიმში 25-ქულიანი სხვაობა 12-მდე შემცირდა, მაგრამ „კიორმენდმა" მაინც იძალა. უნგრელები მერე ერთხელაც დაიბნენ, როცა ჩვენებმა ზონური პრესინგი დააყენეს, მაგრამ ორივე წუთშესვენება გონივრულად გამოიყენეს და თბილისელებს გარდატეხის შეტანის საშუალება არ მისცეს. ლიპარტელიანის თქმით, „ვითას" ამ შეხვედრაში მოგების შანსი არ ჰქონდა, მაგრამ შეცდომები რომ არა, ანგარიშში სხვაობა გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კიორმენდი | 6 | 4 | 2 | 487:467 | 10 |
| რიელო | 5 | 4 | 1 | 419:348 | 9 |
| ფთთ | 6 | 3 | 3 | 444:443 | 9 |
| ვითა | 6 | 2 | 4 | 485:537 | 8 |
| ბუდუჩნოსტი | 6 | 2 | 4 | 476:494 | 8 |
| თაუერზი | 5 | 2 | 3 | 366:388 | 7 |

ჰიუსტონ როკიტსი — იუტა ჯაზი 75:72, ატლანტა ჰოქსი — პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი 94:76

5 ნოემბერი

ტორონტო რეპტორზი — დალას მავერიქსი 100:96, სან ანტონიო სფურზი — კლიველენდ კავალიერზი 74:68, დეტროიტ პისტონზი — ფილადელფია-76 83:81, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — ნიუ იორკ ნიქსი 98:92, ჩიკაგო ბულზი — ვანკუვერ გრიზლიზი 96:73, ლოს ანჯელეს კლიპერზი — დენვერ ნაგიტსი 82:78, მინესოტა ტიმბერვულვზი — ფინიქს სანზი 98:95, ატლანტა ჰოქსი — სიეტლ სუპერსონიქსი 117:95, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 111:93, ჰიუსტონ როკიტსი — საკრამენტო კინგზი 102:80

# აის-ჰოკეი

## ეროვნულ ლიგაში

## დინო ათეულში შევიდა

4. XI. ბოსტონი — ლოს-ანჯელესი 4:4, დეტროიტი — ჰარტფორდი 5:1, რეინჯერსი — ტამპა 3:5, ფილადელფია — აილენდერზი 3:4
5. XI. ტორონტო — სენტ-ლუისი 6:3

წლინახევრის შემდეგ კვლავ შეამხანაგებულმა დეტროიტელებმა: კოზლოვმა, ფიოდოროვმა და ბრაუნმა ოთხი საგოლე კომბინაცია გაითამაშეს და ჰარტფორდელების დიდი ანგარიშით ძლევაში ლომის წილი დაიდეს. უფრო გასახარი ცენტრფორვარდ ფიოდოროვის წარმატებაა — ამან გამარჯვების გოლი გაიტანა, ბრაუნმა 4 (2+2) ქულა დააგროვა, ხოლო აიზერმანმა 750-ე პასი გააკეთა.

ფილადელფიის რიგებში კვლავ გამოჩნდა ტრავმამოშუშებული პავერჩუკი, რომელმაც უმალ დაიჭირა ადგილი პირველ სამეულში. სახელოვანი ვეტერანის უშუალო მონაწილეობით (1+2) „მფრინავმა" ლეკლერმა აილენდერზს ორი შაიბა შეუგდო და თავისიანები დააწინაურა — 3:2. მაგრამ „აგრესორმა" კუკოთამ სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა და გაათანაბრა, შემდეგ პალფე — კინგის ნიუიორკულმა წყვილმაც (11 ქულა 2 თამაშში) დაამატა.

იღბალმა ახლაც აქცია ზურგი რეინჯერზს, თუმცა თავიდან რობიტაილის ორი შაიბისა და გრეცკის მორიგი პასის წყალობით 3:1 დაწინაურდა. მაგრამ დინო სისარელის გამოცდილებამ თავისი ქნა — მისმა გოლმა მეორე პერიოდის მიწურულს ძალა შემატა ტამპას და 59-ე წუთზე სელივანოვმა დააწინაურა კიდეც. შემდეგ სისარელიმ ცარიელ კარში მეხუთეც შეაგდო. მას 561 გოლი დაუგროვდა და სნაიპერთა სიაში მეათე ადგილზე აინაცვლა.

გრეცკი 844, პოუ 801, დიონი 731, ესპოზიტო 717, გარტნერი 674, პალი 610, კური 586, ბოსი 573, ლემიე 569, დინო სისარელი 561

ბოსტონისა და ლოს-ანჯელესის შეხვედრა დაძაბული იყო. „მეფეების" საუკეთესო ბომბარდირის — ხრისტიჩის გადაცემის შემდეგ ფინელმა ნურმინენმა სტუმრები დააწინაურა, მაგრამ ტოკეტმა, ბოსტონელთა შორის საუკეთესომ, თავისი მესამე საგოლე პასიც გააკეთა და ახალბედა შვედ ტიმანდერს ნჰლ-ში პირველი გოლიც გაატანინა.

იუბილარებმა — სუნდინმა (მე-200 შაიბა) და გილმორმა (350-ე შაიბა და 1050-ე ქულა) ორი ქულა მოუტანეს ტორონტოს. კლუბმა სეზონში პირველად გადალახა 50 პროცენტიანი ზღვარი.

ბომბარდირები (პირველ რვეულში ხუთი ევროპელია) გრეცკი (რეინჯერზი) 22 (7+15), საკიკი (კოლორადო) 22 (6+16), ნოლანი (სან-ხოსე) 19 (9+10), სუნდინი (ტორონტო) 18 (10+8), კოივუ (მონრეალი) 18 (7+11), ფორსბერგი (კოლორადო) 18 (6+12), იაშინი (ოტავა) და სელიანე (ანაჰაიმი) 16 (9+7), რეკი (მონრეალი) 16 (7+9), ლემიე (პიტსბურგი) 16 (6+10), ნიკოლზი (სან-ხოსე) და აიზერმანი (დეტროიტი) 16 (4+12), ხრისტიჩი (ლოს-ანჯელესი) 16 (3+13)

სნაიპერები. სისარელი (ტამპა), სუნდინი, იაგრი (პიტსბურგი), გარტნერი (ფინიქსი) 10, პალფი (აილენდერზი), იაშინი, სელიანე, სმიტი (ედმონტონი), ნოლანი 9

ასისტენტები. საკიკი 16, გრეცკი 15, ხრისტიჩი 13, ტარჯონი (სენტ-ლუისი), უეიტი (ედმონტონი), ფორსბერგი, ნიკოლზი, აიზერმანი 12, კოივუ, ლიჩი (რეინჯერზი) 11

მცველები. ლიჩი 15 (4+11), ოზოლინში (სან-ხოსე) 11 (2+9), მალახოვი (მონრეალი) 10 (2+8), ჩელიოსი (ჩიკაგო), დეჟარდენი (ფილადელფია), პარლიკი (ტამპა) 9 (2+7), ბლეიკი (ლოს-ანჯელესი) 9 (1+8)

დებიუტანტები. კემპბელი (სენტ-ლუისი) და აიჯინლა (კალგარი) 13 (7+6), სმიტი 12 (9+3), მიურეი (ორივე ედმონტონი) 11 (5+6), გონო (რეინჯერზი) 10 (8+2), პოგლუნდი (კალგარი) 9 (5+4), მორო (ჩიკაგო), გუსტაფსონი (ფლორიდა) 7 (3+4)

### სამველ ღარიბიანი

ჩემპიონატის დაწყებიდან ერთი თვე გავიდა. გუნდებმა თამაშების სხვადასხვა რაოდენობა გამართეს, მაგრამ მაინც საინტერესო უნდა იყოს შარშან, ამ დროინდელ შედეგებთან შედარება.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდილო-აღმოსავლეთი დივიზიონი | | | | | | | |
| ბუფალო | 13 | 6 | 1 | 6 | 34:36 | 13 | +4 |
| ჰარტფორდი | 11 | 5 | 2 | 4 | 33:33 | 12 | +1 |
| ბოსტონი | 12 | 4 | 3 | 5 | 40:40 | 11 | +3 |
| მონრეალი | 13 | 4 | 3 | 6 | 52:54 | 11 | –3 |
| ოტავა | 12 | 3 | 5 | 4 | 34:39 | 11 | –1 |
| პიტსბურგი | 12 | 3 | 0 | 9 | 32:50 | 6 | –11 |
| ცენტრალური დივიზიონი | | | | | | | |
| დალასი | 13 | 9 | 0 | 4 | 39:31 | 18 | +5 |
| ჩიკაგო | 15 | 8 | 2 | 5 | 40:36 | 18 | +2 |
| დეტროიტი | 15 | 8 | 2 | 5 | 41:29 | 18 | 0 |
| ტორონტო | 13 | 7 | 0 | 6 | 42:42 | 14 | +1 |
| სენტ-ლუისი | 15 | 6 | 0 | 9 | 47:51 | 12 | –1 |
| ფინიქსი | 13 | 5 | 2 | 6 | 34:37 | 12 | –2 |
| ატლანტიკური დივიზიონი | | | | | | | |
| ფლორიდა | 13 | 8 | 4 | 1 | 41:23 | 20 | +2 |
| რეინჯერზი | 16 | 6 | 3 | 7 | 54:50 | 15 | –6 |
| ფილადელფია | 15 | 7 | 0 | 8 | 41:43 | 14 | –5 |
| ტამპა | 12 | 6 | 1 | 5 | 42:38 | 13 | +3 |
| ნიუ-ჯერზი | 11 | 5 | 1 | 5 | 25:32 | 11 | –2 |
| ვაშინგტონი | 12 | 5 | 0 | 7 | 34:39 | 10 | –6 |
| აილენდერზი | 12 | 3 | 4 | 5 | 33:33 | 10 | +4 |
| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | | | | | |
| კოლორადო | 15 | 8 | 3 | 4 | 51:32 | 19 | –3 |
| კალგარი | 15 | 7 | 1 | 7 | 42:36 | 15 | +7 |
| ლოს-ანჯელ. | 15 | 6 | 3 | 6 | 42:48 | 15 | –2 |
| სან-ხოსე | 15 | 6 | 3 | 6 | 45:48 | 15 | +9 |
| ვანკუვერი | 12 | 7 | 0 | 5 | 39:38 | 14 | +2 |
| ედმონტონი | 14 | 7 | 0 | 7 | 47:44 | 14 | +3 |
| ანაჰაიმი | 14 | 2 | 3 | 9 | 32:54 | 7 | –5 |

# რაგბი

## შირერი რა მათი საზრუნავია?

საქართველოს XXIX პირველობა

### მოწინავე ექვსეული

VIII ტური
3 ნოემბერი

ქუთაისი
**გელათი** ცოტა:ბევრი **ყოჩები**

რაგინდ უცნაურიც იყოს, ამ თამაშის ოქმს ჯერაც ვერ მიუღწევია რაგბის კავშირის ოფისამდე, თუმც კი ნაღდად თბილისში ინახება. ზოგი მონაწილის ცნობით, სტუმრებს დაახლოებით 71:21 გაუმარჯვნიათ

ვაკე
**გუმარი >>> აია**

აიას დროზევე შემოუთვლია, არ ჩამოვალთო. გუმარი ამ ცნობას ვერ ენდო და რუსთაველი მოთამაშეების აქეთ-იქით მგზავრობა 45 ლარი დაუჯდა

4 ნოემბერი. ვაკე
**ქორები 39:12 ქიმიკოსი**

(29:0). მსაჯი გოჩა აბაშიძე
ქორები — 7ლ: სიხარულიძე 4, ლაბაძე 2, კვაჭანტირაძე; 2გ: ძნელაძე
ქიმიკოსი — 2ლ: მჭედლიშვილი, ზ. ბერიშვილი; გ: ბაციაშვილი
ეს თამაში წინადღით უნდა გამართულიყო. რუსთაველებს 13 მორაგბე ჰყავდათ. მატჩი 12 საათზე დაიწყო. მსაჯის თქმით, მოედანი საცოდავ მდგომარეობაში — დამბალი ყოფილა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუმარი | 22 | 20 | 0 | 2 | 631:191 | 89-15 | 40 |
| ყოჩები | 21 | 17 | 0 | 4 | 652:158 | 93-11 | 34 |
| ქორები | 21 | 15 | 0 | 6 | 436:176 | 59-15 | 29 |
| აია | 23 | 12 | 0 | 11 | 472:259 | 61-29 | 21 |
| ქიმიკოსი | 23 | 6 | 1 | 16 | 200:546 | 23-82 | 12 |
| გელათი | 22 | 6 | 1 | 15 | 255:592 | 22-91 | 12 |

სიბეცისა და ამბიციურობის მოსავალს მოწინავე კლუბები ახლა იმკიან: იანვარში ქვეყნის ჩემპიონატის სამ ეტაპად და 30 ტურად გამართვა დიდი რიხით რომ მოითხოვეს და თავისი გაიტანეს, ის აღარ უფიქრიათ (ვითომ?), გადამწყვეტი მატჩები გვიან შემოდგომით რომ დაუდგებოდათ, იმ დროს კი გახშირებული წვიმების გამო ბევრი თამაშის გადადება მოუწევდათ.

ახლა ჩემპიონატი ლამისაა ჩაიშალოს. ფინალური ოთხეულის ორი კი არა, ერთი წრის გამართვაც რომ მოხერხდეს, დიდი მიღწევა იქნება, რაკი ჯერ ექვსეულშია გასამართი სამი ბობოლა თბილისური კლუბის მინი-ჩემპიონატის სამივე მატჩი.

ამათგან პირველი (ყოჩები — ქორები) 29 ოქტომბერს რის გამოც არ გამართულა, ვწერდით. ამ თამაშის ახალი ვადის დანიშვნა გაჯანჯლდა, რადგან გაჭირდა შეჯიბრის ხუთდღიან ციკლში სათანადო სარკმლის გამონახვა. ამას დაერთო საფეხბურთო შეზღუდვებიც: ერთი, რომ დერუავის დამმარცხებელ მორაგბეებს ვაკის სტადიონზე არათუ „ლოკომოტივის" ფეხბურთელთა მატჩის, არამედ მის წინა დღითაც (!) აღარ შეესვლებათ, ემანდ ხიზნებმა მეპატრონეს მოედანი არ წაუმურდლონო.

ვინც ექვსეულს კალენდარი შეუდგინა, იმან ეს ფაქტორიც გაითვალისწინა და ყველაფერი გათვალა, მაგრამ ხომ კარგად მოგეხსენებათ ქართველ მორაგბეთა უწესობა და ამათაც თამაშების თვითნებურად გადატან-გადმოტანა დაიწყეს. ან რა ენაღვლებათ: თუკი შემთხვევით ფეხბურთს დაამთხვიეს, მერე რაგბის კავშირს შემოსწყრებიან, რად არ გაგვაფრთხილეთო.

ლოკომოტივურ შეზღუდვებს ახლა სანაკრებოც მიემატა. ესაო და 9 ნოემბერს შირერი (?!) ჩამოდის, ამიტომ ტური 10-ისთვის გადავიტანოთ, ყოჩები და ქორები კი იმ, გამოტოვებულ თამაშს 7 ნოემბერს რომ გამართავენ, ამის გამო ქორები გუმარს 11 ნოემბრამდე ვერ ეთამაშებიანო. აქ ისევ გამორჩათ, რომ 11-ში „ლოკომოტივი" თამაშობს და ა. შ.

ამ შეჭირვებიდან ორი გამოსავალი არსებობს: ან თამაშები ისევ უნდა გადაიდოს, რის გამოც ბოლო წრე გაუქმდეს, ანაც გუნდებმა იმ დღეს უნდა ინებონ თამაში, რომელსაც განრიგის მიხედვით მართებთ. რაც შეეხება შირერს და მისთანებს, ესენი მორაგბეთა საქმე არაა!

### სანუგეშო ხუთეული

16. X. ასკ 41 (7ლ: მგელაძე 5, რატიანი, კაპანაძე; 3გ: აბუსერიძე 2, ძამიაშვილი) — ყოჩები II 5 (ლ: ხეხელაშვილი)
25. X. ლელო 40 (10) (5ლ: აბაშიძე, მაისაშვილი, გოჩალეიშვილი, ზედგენიძე, კვანტრიშვილი; 3გ და 3ს: მაისაშვილი) — უნივერსიტეტი 6 (0) (2ს: ახობაძე)
1. XI. ლელო 10 (ლ: მაისურაძე; გ: აბაშიძე; ს: მაისაშვილი) — ასკ 6 (2ს: ძამიაშვილი, აბუსერიძე). დიდი პაუზის შემდეგ იმსაჯა ზურაბ რეხვიაშვილმა
2. XI. უნივერსიტეტი — დინამო. მატჩი ჩაიშალა. გუნდები პატიოსნად შეიკრიბნენ ჩოლოყაშვილის სახელობის ლეგიონში, სათამაშოდ გამოეწყვნენ, ოქმში შემადგენლობები ჩამოწერეს, მაგრამ მსაჯად არავინ ჰყავდათ. ეს საშარო საქმე იქ მყოფთაგან რომ არავინ იკისრა, იქიდან შიკრიკი არბიტრის მოსაყვანად ვაკეს გაიგზავნა. გუნდებმა მას 70 წუთი უცადეს, მერე კი უთამაშებლად დაიშალნენ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 7 | 6 | 0 | 1 | 194: 51 | 25- 6 | 12 |
| ლელო | 5 | 4 | 0 | 1 | 112: 41 | 15- 3 | 8 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 34: 26 | 4- 3 | 3 |
| უნივერსიტ. | 5 | 0 | 1 | 4 | 28:103 | 1-11 | 1 |
| ყოჩები II | 4 | 0 | 0 | 4 | 25:172 | 5-20 | 0 |


ფილ დევიუმილი

## ექს-სატადარიგო კაპიტნად!

ინგლისი 23 ნოემბერს თვიქენჰემში მასპინძლობს იტალიას.

რაკი ბობოლა ინგლისური კლუბები შემოსავლის განაწილების წესის გამო კარგა ხანს ემდუროდნენ თავიანთ რაგბის კავშირს, 11 ოქტომბერს მისგან გამოყოფასაც აპირებდნენ, მაგრამ მეტი თვიქნემელმა მამებმა ცოტა დათმეს, ორი უფროსი დივიზიონის 24 კლუბს საიდუმლო მოლაპარაკება გაუმართეს და დროებით შეირიგეს.

მოდავეებს საერთო ენა რომ ვერ გამოენახათ, იტალიასთან მოთამაშე ნაკრები III დივიზიონის კლუბებიდან შეირჩეოდა. ამის გამო ფეხს ითრევდა ნაკრების მწვრთნელი ჯეკ რაუელი და თავისი ნებით გადამდგარი ვილ ქარლინგის ნაცვლად „ვარდების" ახალი კაპიტნის დასახელებას დაზავებამდე არ აპირებდა.

მედია ვარაუდობდა, რომ ქარლინგის მემკვიდრე ან მისი თანაკლუბელი — „ჰარლიქვინზის" ბურჯი ჯეისონ ლენარდი იქნებოდა, ანაც ლონდონის მეორე გუნდ „ვოსფსის" ფლანკერი ლორენს დალალიო, ნაკრებში შარშან რომ დამკვიდრდა.

მწვრთნელმა სხვაგვარად გადაწყვიტა: გუნდის ყოჩობა ანდო თავისივე მშობლიური კლუბის — „ბასის" 28 წლის შუამარბ ფილ დეგლენვილს, ვინც ნაკრების თხუთმეტეულში აქამდე მაშინღა ხვდებოდა, როცა ან ქარლინგი იყო დაშავებული, ანაც ბასელი მულატი ჯერემი გასქოთი. ამის გამო ფილს 21 მატჩი სათადარიგოთა სკამზე გაუტარებია და ოდენ 16 კეპი მოუხვეჭია, მათ შორის 7 — შემცვლელად.

გასქოთს რაუელი რომ ვერ შეელევა, ცხადია, ქარლინგი კი კარგა ხანია ათვალწუნებული ჰყავს; ამიტომ, ალბაო ისევ ექს-კაპიტანს განირავს. თუმც ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ავსტრალიელი თიმ ჰორანის დარად ერთი ამათგანი შუამარბის ადგილიდან გარემარბად გადაიყვანონ.

ერთი სიტყვით, დეგლენვილი ქარლინგს კაპიტნადაც შეცვლის და შუამარბადაც. იგი მხოლოდ ერთი წლითაა დანიშნული, რადგან ეტყობა, რაუელსაც არა სჯერა, 1999 წლის მსოფლიო თასამდე რომ მიატანს.

## სამშაბათს, ტურნეებზე

სამხრეთაფრიკელმა „ქურციკებმა" არგენტინაში პირველი მატჩი გამართეს — მეორე შემადგენლობით დუენდესის სტადიონზე დაამარცხეს როსარიოს პროვინციული ნაკრები 45 (33) (7ლ, 5გ) : 36 (10) (5ლ, 4გ, ს). სტუმრებმა საწყის 23 წუთში ხუთი უპასუხო ლელო გაიტანეს, მაგრამ მერე და მერე არგენტინელმა მოყვარულებმა ისე შეუტიეს, რომ აფრიკელებს შევება მოგვარა ბოლო სასტვენმა.

ავსტრალიელმა „ვოლაბებმა" ტურნეს მესამე მატჩში (შოტლანდიის) პერთში 25 (8) (3ლ, 2გ, 2ს) : 9 (6) (3ს) დაამარცხეს ოლქთა ნაკრები. ექს-ფეხბურთელი გარი პარკერის ორი საჯარიმოთი სქოთები 32-ე წუთამდე 6:0 იგებდნენ, მაგრამ მერე მეორეხაზელმა ვილიამსმა, შუამარბმა მაგრომ და გარემარბმა როფმა სტუმრებს გაამარჯვებინეს. მაგროცა და 35 წლის ფიზმომზადების ინსტრუქტორი დერქ ვილიამსიც დაშავებულთა შესაცვლელად ლამისაა მატჩის წინ ჩავიდნენ შოტლანდიაში. ეს ვილიამსი თავიდან ზელანდიელი ყოფილა, მაგრამ ბოლო რვა წელია თურმე სიდნეიში თამაშობს და წელს იქ საუკეთესო მოთამაშედაც ულიარებიათ.

მანუ სამოამ ბრიტანული ტურნეს მეორე მატჩი 58 (18) (8ლ, 6გ, 2ს) : 27 (13) (3ლ, 3გ, 2ს) მოუგო ოქსფორდის უნივერსიტეტს.

# ჩოგბურთი

ორშაბათს რეიტინგები რომ გამოქვეყნდა, გაირკვა, რომ შევუცდენივართ უცხოურ საინფორმაციო სააგენტოებს, რომელთა ცნობებსაც ვენდეთ და წინა „სარბიელში" დავწერეთ, თუ რუსი კაფელნიკოვი ასე გააგრძელებს, წლის ბოლომდე კლასიფიკაციის კენწეროდან სამპრასს ჩამოაბრძანებსო.

ვითარება დააზუსტა ვაჟ პროფესიონალთა ასოციაციამ (ატპ) და თავისი, საზოგადოდ ერთობ სადა, მაგრამ უჭკუო სისტემით გამოთვალა, რომ პარიზის ტურნირის ფინალში ენკვისტთან წაგების გამო სოჭელი ჟენია ამერიკელ პიტს ველარ გადაასწრებს. ამით სამპრასს საახალწლოდ პირველი ჩოგნობა უზრუნველყოფილი აქვს.

პიტმა წელს ეს ზედიზედ მეოთხედ შეიძლო და ამით გაუსწორდა თანამემამულე ჯონ მაკინროუს. უკეთესი შედეგისთვის — ხუთწლიანი უწყვეტი ზეობისათვის მხოლოდ ჯიმი კონორსს მიუღწევია. ეს ამერიკელი 1974-78 წლებში მეფობდა.

ქალთა კლასიფიკაციაში სელეში მეორე საფეხურამდე დაეშვა, რადგან ჩიკაგოურ ნახევარფინალში წააგო ჯენიფერ კაპრიატისთან, ერთბაშად 23 ადგილით რომ ალზევდა და 507 ქულით უკვე 27-ეა. მას აქეთ, რაც ბეჭმორჩენილი შარმან ზაფხულს ასპარეზს დაუბრუნდა, მონიკას 18 თვის ან 14 ტურნირის მანძილზე უსაშუალოებდნენ შედეგს და ხელოვნურად უნარჩუნებდნენ საზიარო პირველ პოზიციას. სელეშს გრაფთან გატოლება იქეთა ორშაბათსვე შეუძლია. საამისოდ ამ კვირაში ოქლენდის (კალიფორნია) ტურნირი უნდა მოიგოს.

ამ კვირაში, სტოკჰოლმის ღია პირველობაზე, ბეკერის გამოკლების შემდეგ უმაღლეს რეიტინგოსანი ფერერა ალმოჩნდა, მაგრამ ორშაბათს, პირველსავე წრეში დამარცხდა ბრიტანელ გრეგ რუზეცკისთან 3:6, 6:3, 3:6. არადა, თეთრ აფრიკელს მხოლოდ ფინალში გასვლა აძლევდა ხელს ატპ-ის ტურის მსოფლიო პირველობაზე (ჰანოვერი, 19-24 ნოემბერი) მოსახვედრად.




ორშაბათსვე მარცხი შეემთხვა ზორბა მარტინს (2), ვინაც თანამემამულე ჯიმ გრებს 6:2, 3:6, 7:6 (7-1) კი აჯობა, მაგრამ ერთი ბურთის მოგერიებისას ბადეს ისე დააწვა, რომ მისი დამჭიმავი ბოძი მოტეხა და თამაში ერთი საათით შეაფერხა.

ამავე დღეს საზოგადოებას ყოველდღიურ სამოსში გამოწყობილი წარუდგა დიდი შვედი სტეფან ედბერგი. მან განაცხადა, რომ 300 000 $ შეუწირავს ფონდისთვის, საიდანაც ყოველწლიურად სტიპენდია დაენიშნება ოთხ ნიჭიერ შვედ ყმაწვილ ჩოგბურთელს.

ედბერგმა პირველი მატჩი სამშაბათს გამართა და 80 წუთში 6:7 (5-7), 3:6 წააგო თანამემამულე ნიკლას კულტისგან. ამით დასრულდა ტურში მისი 14-წლიანი მონაწილეობა და ხალხმაც დიდ ამბით — წითელი ვარდებით გააცილა.

კარიერის მანძილზე სტეფანმა 1075 მატჩი გამართა. მოიგო 806. მოიპოვა 41 ტიტული, მათგან ექვსი — დიდი სლემისა. შვედეთის ნაკრებში სამჯერ მოიგო დევისის თასი (1984, 1985, 1994), ორჯერ (1990, 1991) კი სეზონი პირველ ჩოგნად დაასრულა. მისმა ჯამურმა ჰონორარმა 20,7 დოლარს უწია.

### კლასიფიკაციების მოწინავე თხუთმეტეულები

**ატპ**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | პიტ სამპრასი | აშშ | 4375 |
| 2 | მაიქლ ჩანგი | აშშ | 3837 |
| 3 | ევგენი კაფელნიკოვი | რუსეთი | 3486 |
| 4 | გორან ივანიშევიჩი | ხორვატია | 3222 |
| 5 | ბორის ბეკერი | გერმანია | 3213 |
| 6 | თომას მუსტერი | ავსტრია | 3166 |
| 7 | ანდრე აგასი | აშშ | 2364 |
| 8 | თომას ენკვისტი | შვედეთი | 2325 |
| 9 | რიხარდ კრაიჩეკი | პოლანდია | 2262 |
| 10 | ვეინ ფერერა | სამხ. აფრიკა | 2239 |
| 11 | მარსელო რიოსი | ჩილე | 2030 |
| 12 | თოდ მარტინი | აშშ | 1923 |
| 13 | ალბერტ კოსტა | ესპანეთი | 1757 |
| 14 | სტეფან ედბერგი | შვედეთი | 1590 |
| 15 | ფელიქს მანტია | ესპანეთი | 1589 |

**ვტა**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | შტეფი გრაფი | გერმანია | 3358 |
| 2 | მონიკა სელეში | აშშ | 3228 |
| | არანჩა სანჩესი | ესპანეთი | 2055 |
| 3 | კონჩიტა მარტინესი | ესპანეთი | 1880 |
| 4 | იანა ნოვოტნა | ჩეხეთი | 1767 |
| 5 | ანკე ჰუბერი | გერმანია | 1748 |
| 6 | ლინდზი დავენპორტი | აშშ | 1515 |
| 7 | მარტინა ჰინგისი | შვეიცარია | 1483 |
| 8 | ივა მაიოლი | ხორვატია | 1443 |
| 9 | კიმიკო დატე | იაპონია | 1415 |
| 10 | მერი-ჯო ფერნანდესი | აშშ | 982 |
| 11 | ბარბარა პაულუსი | ავსტრია | 905 |
| 12 | ბრენდა შულცი | პოლანდია | 873 |
| 13 | ჩანდა რუბინი | აშშ | 847 |
| 14 | კარინა ჰაბსუდოვა | სლოვაკეთი | 815 |

# მძლეოსნობა

## მიეხმარაო!

კვირას ნიუ-იორკის მარათონი იყო. სტარტზე დაახლოებით 29 ათასი მონაწილე დადგა, ფინიშს კი 28 111-მა უწია, რაც ამ შეჯიბრის 27-წლიან ისტორიაში მეორე შედეგია.

ვაჟები: ჯაკომო ლეონე (იტალია) 2:09.54; ტურბო ტუმო (ეთიოპია) 2:10.09; ჯოზეფ კამაუ (კენია) 2:10.40; ჯონ კაგვე (კენია) 2:10.59; ანდრეს ესპინოზა (მექსიკა) 2:11.39; კოსმას ნდეტი (კენია) 2:11.53; მარტინ ფისი (ესპანეთი) 2:12.31; ...
ქალები: ანუტა კატუნა (რუმინეთი) 2:28.18; ფრანკა ფიაკონი (იტალია) 2:28.42; ჯოის ჩეპჩუმბა (კენია) 2:29.38; ... ტეგლა ლარუპე (კენია) 2:37.19; ...

ფავორიტებმა ვერ ივარგეს. ბოსტონის მარათონის სამგზის გამარჯვებული ნდეტი VI ადგილზე დარჩა, მსოფლიოს 1995 წლის ჩემპიონი ფისი — VII-ზე, კენიელმა მოზეს ტანუიმ, ბოსტონში წელს რომ გაიმარჯვა, 33 კილომეტრი გაძლო, მერე კი ჰარლემის ჰოსპიტალში წასაყვანი შეიქნა, სადაც სითხე ბლომად მისცეს და შინ გაუშვეს.



ნიუ-იორკის მარათონის 9-გზის გამარჯვებული, ნორვეგიელი გრეტე ვაიტცი შეელის მონაწილეს, ფინიშს უკანასკნელმა რომ უწია
ასოშიეითიდ პრესის ფოტო

20 კილომეტრის შემდეგ თავი ატკივდა ქალ ფავორიტ ლარუპესაც, წინა ორ წელს რომ გაემარჯვა, და საბოლოოდ VII ადგილზე გავიდა. მან თავად ვერ გაუძლო თავისსავე ტემპს, თუმც კი ჩეპჩუმბა ეხმარებოდა. გარდა ამისა, დედამისი და დაი ამერიკას საქომაგოდ საგანგებოდ ჩასულიყვნენ.

28 წლის კატუნამ ბოლო კილომეტრებზე უმატა ტემპს და აჯობა ფიაკონის, რამაც ეს ძლიერ გააგულისა და ბრაზილიელ ვაჟ მორბენალ ყოზე ანჟელო სილვას რუმინელის მწყემსვა დააბრალა, აქაო და მის მხარდამხარ გარბოდა, ტემპს ანარჩუნებინებდა და ქარისგან იფარავდაო.

ქალმა ამგვარი კავალრობა იუარა და განაცხადა, ბრაზილიელს არც ვიცნობდიო, თუმც კი ამან ფინიშის შემდეგ გადაკოცნა. კატუნას მწვრთნელმა დუმიტრუმ კი განაცხადა, სილვა უთუოდ იმიტომ მირბოდა ანუტას მხარდამხარ, რომ ტელევიზორში გამოჩენა სურდაო.

ვაჟთა გამარჯვებულმა, 25 წლის პოლიციელმა ლეონემ ჯილდოდ 50 ათასი დოლარი და მანქანა მიიღო. მისი წლიური ჯამაგირი მხოლოდ 18 ათასი ყოფილა. კატუნამ 40 ათასი მიითვალა, რაც იმით აიხსნება, რომ გამარჯვებისთვის დათქმული თანხის გარდა მონაწილეებს გარკვეულ დროით ფარგლებში ჩატევისათვის პრემიაც ერგებოდათ. ისე კი, ყოველივე ამისთვის ამერიკელებს რომ მიეღწიათ, ფულად ჯილდოს თურმე გაუორმაგებდნენ.

### საქმე წელსვე მოითავა

38 წლის ფრანგმა ველოსიპედისტმა ქალმა ჟანი ლონგომ მაინც ვერ მოისვენა: მეხიკოში საათიანი რბოლის მსოფლიო რეკორდის დაბრუნებიდან კვირის თავზე, 3 ნოემბერს, ახლა უკვე გრენობლის ტრეკზე, იქვე ხუთი წლის წინ მის მიერვე დამყარებული 5 კილომეტრზე რბოლის რეკორდი თითქმის 12 წამით გააუმჯობესა. ახალი მიღწევაა 6.05,839.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29